უწმინდეს სინოდის ობერ-პროკუროის საერთო
კომპეტენციას (148 მუხლი ცენზურის წესდებისა).
მინისტრთა კომიტეტს უკანასკნელ თავის სხდომაზე
31 დეკემბერს ის აზრი გამოუთქვამს, რომ ეს წესი
უნდა შეიცვალოს.

* * * სრულად გადასინჯვა ბეკლეთი. სიტყვის

კანონებისა მიანდეს საგანგებო კომისიას. საფუძველი ამ კომისიის მუშაობისა იქნება პრინციპი წინასწარ ცენზურის მოსაზრებისა პერიოდულ პრესისათვის. კომისიაში წევრებად არიან სახელმწიფო საბჭოს წევრები და სენატორები, რომელნიც ახლო იცნობენ თანამედროვე მწერლობის მდგომარეობას; აქვე იქნებიან მეჭვდით საქმის მთავარ-სამმართველოს ყოფილი უფროსები.

* * * რუსეთის სახელმწიფოს ვალი 1905 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 7 ათას მილიონ მანეთს.

* * * პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელთა ახალგაზდა პროფესორებმა წერილი გაუგზავნეს მოსკოვის უნივერსიტეტის ცნობილ პროფესორს ტიმოჩაზებს, რომელშიაც გამოხატვეს, რამდენად შევიწროებულნი არიან დღეს რუსეთში მეცნიერების მკვლევარნი, და გულ-წრფელი მადლობა გამოუხატავს ტიმოჩაზებს, მეცნიერების თავისუფლების მდგომარეობის დამცველს.

* * * რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ცნობები მოდის ანაშა ეიზნსის იმის შესახებ, თუ როგორ შევიწროებულნი არიან რუსეთში უცხოეთის ეურნალ-გაზეთების ხელის მომწერნი. ეს ეურნალ-გაზეთები იმდენად დასახიზებულია ცენზორის მაკრატლისაგან, რომ აღარაფრადა მოსაზარებო.

* * * მეჭვდის მიამართაბ პეტერბურგში მსოფლიო გაზეთებს შემდეგი ცნობები მოსვლით 10 იანვარს:

I. 1 ს. და 30 წ. ქუჩებში მშვიდობიანობაა. იმ ქუჩებზე, რომელნიც ნების პროსპექტის და პეტერბურგის მხრის ახლოს არიან, მუშები ჯგუფ-ჯგუფად დადიან. ჯარი თითქმის არა სჩანს, გარდა სასახლის მოედნისა და ვასილიევის კუნძულისა. 12 საათზე ხალხს აღარ უშვებდნენ სასახლის მოედანზე; მოძრაობა აქ შეჩერებული იქნება. ნევსკზე ერთ სახლში ფანჯრებია ჩამტყეული. ვასილიევის კუნძულზე ბევრ ადგილს ფანჯრები ფიცრებით ააქრეს.

II. 4 ს. 50 წ. ოლქის სასამართლოს მეოთხე სამოქალაქო განყოფილებამ სხდომა შესწყვიტა თანახმად ათ ნაფიც ვეკილის განცხადებისა—კითხოვთ საქმის განხილვის შეჩერებას, რადგან მეტად აღელვებულნი ვართო. ნაფიც ვეკილებს განზრახვა აქვთ შეჩერონ ყველა საქმეები.

III. 6 ს. 45 წ. საღამო. ბევრ ადგილს შესდგა კრებები, მეტ ნაწილად ინტელიგენტებისა. უფრო მრავალ-რიცხოვანი კრება თავისუფალ გყო-

ნომიურ საზოგადოება"-ში იყო. ნ. ესკზე ინტელიგენტების ერთმა ჯგუფმა მალაზიები დააკეტინა პატრონებს მოძრაობის თანაგრძობის ნიშნად. საღამოს, როცა ელექტრონები გაქპრა, ნევსკზე ხალხი შიშმა აიტანა ღ დიდი მიხლა-მოხლა იყო; ყველას უნდოდა სხვა ქუჩებზე გადასვლა. გოსტინი დორში რამდენიმე ცდა იყო ღუქნების გამაძრკვისა.

IV. 7 ს. საღამო. 40 ხმოსანმა გადასწყვიტა შეიტანოს საბჭოს უახლოეს სხდომაში წინადადება—ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ მცხოვრებნი დაიცვან უწყსობის შედეგისაგან.

V. 10 ს. საღამო. ქუჩებში არიან არის, გარდა ვოზნენსკისა და საღოვოისა—აქ ი დიდძალი ხალხი დადის, თუმცა ბნელა. დარაჯები მიდი-მოდიან. რესტორანები და მალაზიები დაკეტლია:

ხმა დადის, რომ 9 იანვარს მამა გიორგი გაპონი სასიკვდილოდ დაიქრა.

* * * ტელეგრაფებმა მოიტანეს ცნობა, რომ საინდაბუს სოფელთან ომი მოხდა. რუსებს უნდოდათ ეს სოფელი წაერთმიათ იაპონელებისათვის, მაგრამ ვერ აიღეს და რუსებმა უკუაქციეს. შეტაკებები იყო მთელ ფრონტზე რუსებსა და იაპონელებთან შორის ღ როგორც ტელეგრაფები გვაცნობებენ იაპონელებმა მოკლული და დაჭრილი დაკარგეს ხუთი ათასამდისინ, ხოლო რუსებმა—თერთმეტი ათასამდე.

* * * შინაგანი საქმის მინისტრი სეიატოპოლკ მირსკი სამსახურიდან დათხოვნილია. იუსტიციის მინისტრმაც თავი დაანება სამსახურს.

* * * ნათი და სხვა ხორაგოლომა ძლიჭრ გაძვირდა რკინის გზაზე მოძრაობის შეჩერებისაგამო.

* * * მინისტრების კომიტეტს სხდომები უნდა ექნეს მალე, სარწმუნოების საქმის კითხვებისა გამომ. ამ კრებაზე ობერ-პროკურორის მაგიერ, რადგან იგი ავით არის, მისი ამხანაგი ვ. კ. საბლერი დაესწრება.

* * * ქიათურაში მუშები შეიკრიბენ სადგურის ახლო, მაგრამ დაიშალენ და უწყსობა არა ჩაუდენიათარა.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზრწმუნოებასა და კეთილზნებობაზე.

საუბარი დაბადებიდან.

XI.

ბაბილონის გოდოლა.
წიგნი „შექმნათა“, XI, 1—4.
(გაგრძელება*)

წარღვნის შემდეგ, ღვთის მიერ ნაყვართხმა ნოეს ოჯახმა ქვეყნად გავრცელება იწყა. ცხადია, როგორც ერთი ოჯახის შეილთ, აღმაინებს დაცული ქმნებოდათ ერთობა ზნეწვეულებათა, ცხოვრებისა და განსაკუთრებით ერთობა ენისა, რომელიც ადამიანთა შორის ყველაზე უფრო ცხოველი და განუყრელი კავშირია. მაგრამ მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც ეს კავშირი გაწყვიტა და ერთი ერთი მალაპარაკე ნოეს ჩამომავლობისაგან ათასგვარ სხვა და სხვა ენებზე მოლაპარაკე ერები შექმნა, ერთმანეთს დააშორა და მთელი ქვეყნის კიდებში გაფანტა.

წარღვნის შემდეგ ნოეს ოჯახობა თანდათან არაბატს მოშორდა, რომლის ძირშიაც იგი წინით დასახლდა. შემდგომ მისმა ჩამომავლობამ კიდევ შორს გაიწია და სენაარის ვაკეებში დასახლდა. ამაზე უკეთესი და ნაყოფიერი ადგილის პოვნა მას არ შეეძლო. მთელი ეს ადგილი ორი დიდი მდინარით ირწყვება: ტიგრიით და ეფრატით. საკმაო ეფრატს წვიმისაგან სულ მცირეთ წყალი მოგმობათს, რომ იგი ნაპირებიდან გადმოვიდეს და გარემო მიწები დაანაყოფიეროს.

აი, სწორეთ ამ ადგილზე შოინდობა ნოეს ჩამომავლობამ ქალაქის აშენება, კოშკითურთ, რომლის წვერიც ზეცას უნდა მიწვდომოდა. რა მიზანი უნდა ქონებოდა ამ უხარო განზრახვას?. ჯეოთ თავთ თვისად სახედა. ჰირველ განთქმის ჩვენისა

ზირს ზედა ყოვლისა ქვეყნისსაჲ, — ასე ლაპარაკობდნენ იგინი, როცა გოდლის აგება შეუდგინენ. რამდენათაც გვეცმის, ეს უნდა ყოფილიყო ერთის რომლი-სამე გვარის მისწრაფება სხვებზე გაბატონებისადმი. ერთ ადგილს შეგროვება — ძალის მომატებას ნიშნავს; ხოლო ძალის მომატებას სხვა წვრილ-წვრილ და გაფანტულ ოჯახებზე და გვარებზე გაბატონება მოსდევს. აი, ამას ქება — „თავით თვისთა სხედის ქმნა“, ე. ი. თვისი ძალღონით თვის გამოჩენა და მით იმ პირთა დამონება, რომელთაც განცალკევებით ერთმანეთი დაუსუსტებიათ. ამგვარ მისწრაფებასთან ცხადი და ადვილი გასაგებია აშენება „ქალაქისა კოშკითურთ“, ე. ი. ციხე-სიმაგრისა. ამ ადგილის გაგება სხვაფრე შეუძლებელია: ეს ქალაქი ხალხთა განწევის შემდეგაც პირველი სატახტო ქალაქი შეიქმნა იმ პირველი სამეფოსი, რომელსაც ისტორია ზღაპარ-სიტყუაობით იხსენიებს. ეს სამეფო ნებაბრთს ეკუთვნოდა, რ ახელზედაც საღმრთო წერილი ბრძანებს, რომ მან იწყო გმირ ყოვლად ქვეყანასა ზედაჲო, ე. ი. სხვებზე ბატონობის საფუძველი დაუდგო. შესაძლოა, თვით ამ ციხე-სიმაგრის აშენების პირველი აზრიც მას ეკუთვნებოდეს; ხოლო, როდესაც მაშენებელნი მთელს ქვეყანაზე გაიფანტნენ, მას მათი ნაშრომით ესარგებლნოს.

ყოველ შემთხვევაში ეს განზრახვა უხარბა და გიჟური განზრახვა იყო, რადგან ღვთის პირდაპირს ბრძანებას ეწინააღმდეგებოდა, რომელიც ნოეს სახლობის დალოცვაში გამოიხატა: „ალორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა“. ი. ყოველ შემთხვევაში, ეს განზრახვა სადანაშაულო განზრახვა იყო, რადგან საფუძველად ისეთი ქვენა გრძობა ედვა, რომელიც ყველა გრძობებზე უსასტიკესია და ყოვლის დამატკევერი, სახელდობრ სურვილი აღმძირის პიროვნების დამონებისა და დაპყროვისა. რა თქმა უნდა, სასჯელი აუცილებელი იქნებოდა. მაგრამ მართლმსაჯულმა ღმერთმა ისეთი სასჯელი მიუსაჯა, რომელმაც ნოეს ჩამომავალთა შორის ყველაზე უცხოველესი კავშირი გაწყვიტა: მან შეურიგნა მათ ენანი, რათა არა ესმოდეს მუნ თითოეულსა ხმა მოყვისისაჲ. ამასთან ერთად, უხარო განზრახვაც თავის-თავით მოისპო და ნოეს ჩამომავლობა მთელი დედამიწის პირველ გაიფანტა.

აქედან წარმოდგენა „ენანი“, ე. ი. სხვადასხვა ენით მოლაპარაკე ტომნი და ერნი.

*) ის. „მწეგმისა“ № 10, 1904 წ.

ამ რიგათ, «შერეწი» დასჯა, იმავე დროს, «განყოფილ» დასჯაც იყო. განიყენენ და განიბნენ როეს ჩამომავლნი,—და თან წიკოლოეს მთელი კაკობრიობის ერთ-სისხლიანობისა და მონათესაობის აზრი კი არა, აზამედ სასურთიერთო მტრობა და განხეთქილება. და განა მარტო „განხეთქილება“? არა, მათ თან წარიტანეს თვით ის დამღუბველი გრძობაც, რომელმაც ეს განხეთქილება გამოიწვია, სახელდობრ ქვეყნის კიდელი კიდემდე თან წარიღეს სხვების დამონებისა და დამორჩილებისადმი მისწრაფება და შედგე, მემკვიდრეობით, მითგან ჩამომავალ ტომთაც გადასცეს. ერთი მეორის მეზობლათ დასახლებული ორი, სხვა და სხვა ერთი მოლაპარაკე, ერთი ევრასგზით ერთმანეთს ვერ ურჩიდებოდა,—თითქმის ღვთის გაზენილი ქვეყანა ევიწროებათო: ერთი უსათუთა ცდლობდა—მეორის ვანდევნას, დამონავებას ან, არადა, მათათ მოსპობასაც. და რამდენი ერთი გამოესალმა ამნაირათ წუთისოფელს, რამდენი ხალხი მოისპო და აღგავა პირისგან ქვეყნისა?!...

მაგრამ ისწავლა თუ არა კაკობრიობამ რაიმე ხერხი, ეს კაინისებური სისხლის ღვრა ამ უკანასკნელს, სახელ-განთქმულ“ საუკუნეებში მიანიც თავი-ღან აუშორებია?

თქვენ თვითონ უწყით, ძმანო, რომ არა. სხვადა-სხვა ენის ხალხნი ჩვენ დროშიაც ძმურათ ცხოვრებას ვერ ახერხებენ. ყველას ყველგან ევიწროებ; ყველა გაგივებით მიისწრაფვის სხვები დამონოს და დამორჩილოს, სხვას კისერზე შეაჯდეს და სისხლი გამოსწოლოს. აქედან კი დროა და დრო გამოშვებით, ზოგჯერ კი მთელი წლობითაც აღმანიანს სისხლი არა პატარა ნაკადულეზად, რამედ მთელ მდინარეებად იღვრება; აღმანიანს გონება კ, რაც ვაწყობა, მეტს ვარჯიშობს სასიკვდილო იარაღების გამოგონებაში.

ქვეყნის დასასრულამდე ასე დავრჩებით, თუ კაკობრიობა თავისისავე სისხლის მორღვეში ჩაიღუპება,—ეს ღვთის მტრმა არავინ უწყის. თანამდროვე ცხოვრების მოვლენანი კი ამაზე უკეთესს არას ვეცქიანო. მართალია, მტრობისა და განხეთქილების წინააღმდეგ მაცხოვარმა ქვეყნად შემეერთებელი დასაბამი შემოიტანა, სახელდობრ—სახარება, რომელმაც ერთი და გვარ-ტომობით დაშორებული ნაწილები კაკობრიობის ერთიმანეთს უნდა შეუერთოს და შეუკავშიროს რწმენისა, იმედებისა და მიზნის

ერთობით და მსოფლიო ცხოვრების საყოველთაო კანონით—საყვარლდით; მაგრამ მივალწიეთ რაიმე სასურველ შედეგს თუ არა?.. ცხრამეტ საუკუნეზე მეტია, რაც კაცთა შორის სახარება არსებობს; მთელი ტომნი ქრისტეს სახელს აღიარებენ; მაგრამ ჩაღწია თუ არა მათს შეგნებამდე მაცხოვრის მოძღვრებამ ყოვლის შემთანხმებულ და ყოვლის-შემეერთებულ სიყვარულის შესახებ?.. სრულიდაც არა. ის ერები, რომელნიც თავის თავს ქრისტიანებს ეძახიან, დღესაც მზათ არიან ძმის სისხლი დანთხიონ, როგორც იმ დროს, როცა ჯერ ისევ წარმართები იყვნენ. საერთაშორისო მშვიდობიანობაზე და იარაღის აყვარე ლაპარაკი უბრალო ფანჯარულადად ვაღიკე. სიტყვა საქმეს არ ეთანხმება და საქმე სიტყვას. რაშია ამის მიზეზი? იმაში, რომ ის ერები, რომელნიც თავის-თავს ქრისტიანებს ეძახიან, ქრისტესი და მისი საბარების მიმდევარნი არ არიან, თვისი მიზნათა და მისწრაფებით, ცხოვრებით და თვით რწმენითაც კი იგინი ისევ წარმართები არიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველი დროის წარმართები თავის თავს ქრისტიანებად არა სთვლიდენ, ესენი კი ქრისტეს სახელით თავს იფარავენ. ნუ გიკვირბთ, ძმანო, ზენი ნათქვამია: „თვით რწმენითაც კი წარმართები არიანო“; მართლაც, რა ქრისტიანული რწმენაა ის რწმენა, რომელიც ძალდატანებაზე, დევანზე, სისხლის ღვრაზე, სასჯელსა და წამებაზეა დამყარებული? ეს ქრისტიანული სარწმუნოება კი არა, უუსასტიკესი წარმართობაა: სინდიონის სრული თავისუფლება, —აი, რა უნდა ცდვას საფუძვლად ქრისტიანობრივ სარწმუნოებას (იოან. 6, 66 — 68). და მერე რამოდენა სისხლია დღვრილი ქრისტიანებისგან ვგრეთ წოდებულ სარწმუნოებრივ ომებში? რამდენი ათასი და ათიათასი ნამდვილი ქრისტიანი დაღუპულა ხმლით, ცეცხლით და თასაგვარის წამებით, რომლის მსგავსი ქრისტიანობის თვით პირველ საუკუნეებშიაც კი წარმართობას არა მოუხდენია-რა! რისი ძალით დაიღუპა ეს უთვალავი ათასი მარტომორწმუნე?.. იმისი ძალით, რომ მათ სურდათ მხოლოდ ქრისტეს მსახური ყოფილიყვენ, და არა იმ ურჯულეობის (Беззаконие), რომელნიც მთელს საქრისტიანოზე გაბატონებას მიესწრაფოდენ, —და არა იმ ფარისევლობისა, რომელნიც ვითომ ქრისტეს სახელისათვის თავგამოდებთ ცდილობდენ ყველაფერი დაეფარათ, რაც კი რამ სახიზღარი და

უწმინდური მოიპოვება ადამიანის ენება ან შორის. ამ რიგით, თეთი ქრისტეს სახარება კი ფარისევლობით დამახინჯებული, მხოლოდ მიტყუი შეიქმნა არა მარტო ტომთა შორის, არამედ ერთსა და იმავე ტომის წევრთა შორის განხეთქილებებისა და სისხლისღვრის.

საშიშაი, ძმანო, ჩვენი მდგომარეობა! აი რისთვისაა საჭირო, უფრო გულმოდგინეთ ვილოცოთ: (მოვედინ სუფევა შენი!) — რათა ერთ დროს მაინც დაგვიდგეს ქვეყნად სუფევა ღვთისა, სუფევა სიბართლისა, სიყვარულისა და თავისუფლებისა. ხოლო ეს სასურველი და კურთხეული სუფევა მხოლოდ მაშინ დადგება, როცა ჩვენი სიცოცხლის უღმერთაურეს ანონად, ყველასთვის ერთად და თვითუფლისთვის ცერძით, ფარისევლურის დამატებებით დაუმახინჯებელი სახარება გახდება.

(გაკრძელება იქნება).

ს. გარგასე.

ახლად უოპილ მარისტმს აპკანთან.

(სამოაბო მოთხრობა მოკავების თაყვანისცემასზედ)

სადგომი ნაღოსის ნაპირებთან.

V.

(გაკრძელება*)

ის შეჭრდა თითქო უნდა მოიფიქროსო და მერე განაგრძობ:

მრავალ ერთა შეიყვარეს ნაღოსის ტკილი წყლები, განაგრძობ მან; ეთოპელმა, პალი პეტრამ, ებრაელმა, ასირიელმა, სპარსელმა, მაკადონელმა, რომაელმა და ყველა ისინი, ურიებს გარდა. ჩვენს ქვეყანაში ბატონობდნენ. ამისთანა მიხეთქ-მოხეთქებას მოჰყვა ის, რომ მიტრიაიმის სარწმუნოება გააფუჭეს. დაფნებთა ჭალაკი გარდაიქცა ღმერთთა ჭალაკად. ერთი უზენაესი ღმერთი რვად გაიყო, თვითვეული მთავანი ბუნების რომელიმე ნაწილის წარმოადგენელი იყო ამონრას მეთაურობით. მერე გამოვიდნენ ისინი და ებრაისი და მთელი მისი წრე, რომელიც წარმოადგენდა წყალსა, ცეცხლსა, პურს და სხვა ძალეებსა. ასეთი ღმერთების გამარაგლება

გავრძელდა მანამდის, სანამ არ მივიღეთ მეორე ხარისხი მათი, რომელიც წარმოსდგა კაცთათვისებდან, როგორცაა ძალა, ცოდნა, სიყვარული და სხვ.

— ყველა ამავეში სისულელე სჩანს, ჩაერთა ბერძენი. მხოლოდ მიუწოდებელი ნიეთნი დარჩნენ ისეთივით ჩვენამდისინ.

ეგვიპტელმა თავი დაუკრა და განაგრძობ:

— მშებო მომითმინეთ ცოტა, მოვიფიქრო ის, რასაც ჩვენ ველტვით, ყოველთვის გვგონია რომ შეუღარებელია. იწმილაა მისზედ რაც იყო, რაც არის და რაც იქნება. წერილებში მოთხრობილია, რომ მიტრიაიმე ნახა ნილოსი, თითაქვსის ვლომბელობაში, რომელიც აქედამ აფრიკის უდაბნოში გაგრძელდნ — ესენი ცნობილ ყენენ როგორც ფანტასტიური გენიოსები, ბუნეა ს სრული გამდმერთებელნი. პოეტური სპარსელი წირავდა მსხვერპლსა მზეს, როგორც ორმუზდი ა უდიდეს მსგავსებასა, კეთილ-მსახურნი ძენი შორეულის აღმოსავლეთისანი გამოსჭრიდნ ხოლმე ღვთაებებს ხიდან და სპილოს ძელიდან; მაგრამ ეთიოპელი კი უწერილოთ, უწიგნოთ, ახარებდა თვის სულს ცხოველებების გამდმერთობით. კატის ღმერთი იყო, ხარის იზიდა და, ბუზის იტა, ხანგრძლივის ამ უზებო სარწმუნოებისაგან ბოძოლის შემდეგ მიღებული იქმნა ახლის მონარქიის რელიგია. შემდეგ გააკეთეს უუდიდესი ძეგლები მდინარისა და უდაბნოს პირად, ობელისკები, ლაბირინტები, პირამიდები და მეფეების აკლდამები. აი სანამდისინ დაეცნენ, მშებო, აირიელნი.

აქ კი ეგვიპტელს მღელვარება დაეტყო, ხმა დაიმდებლა და დაიწყო:

— ნურც აგრე ბუზად აიგდებთ ჩემს თანამოძმეებს. ყველას კი არ დაუვიწყრით ღმერთი. მე წინაზე ვიტყვი, ჩვენი საიდუმლოები მივანდით პაპირუსებს შეთქი, გარდა ერთისა; აი ახლა ამაზე მინდა მოგახსენოთ. ოდესღაც გვეყავა ჩვენ ცნობილი ფარაონი, რომელსაც ყოველ-გვარი ცვლილებანი უყვარდა; მან მოინდომა ახლის რელიგიის შემოღება და ძეგლის კი განაშენებდა. მაშინ ჩვენში იყვნენ მონებელ ურიები. მათ სწამდათ თვითნათი ღმერთი. როდესაც მათი ტანჯვა აღტანელი შეიქმნა, ისინი განთავისუფლდნ მონობის უდიდიდან მისთანა გარემოების წყალობით, რომლის დაეწყება შეუძლებელია. ახლა წერილებიდან ვიტყვი. მოსე, თვითონ ურია, მოვიდა სრასასაღვში ფარაოსთან მინდის განსათავისუფლებლად, რომელთა ზოცები აის ათასამდე აიღოს. ის ელაპარაკებოდა მას ღვთის პირით.

*) იხ. „მწიგნობა“ № 23—24, 1904 წ.

ფარაო უარი უთხრა. ყური მიგდეთ რა მოხდა ამის შემდეგ. რაღაც მიზეზისა-გაბო წყალი მდინარეებში, ტბებში, ზღვებში და ქვებში სისხლად იქცა. მონარქი მაინც კიდევ უარზედ იდგა. მაშინ საიდინარეად განდგნა ბაჰაეები ყველგან. ის მაინც თავისაზე იდგა. მაშინ მოსწი პაერში გაიფანტა ფერფლი და ეგვიპტელებს მოეცა ქირი, შემდეგ გაწყვიტნენ ცხოველები. კალიამ ნათესი მთლად მოსპო. შუა დღისას დაღამდა, ასე რომ სინათლე არ ანათებდა. და ბოლოს დამთო ყველა ეგვიპტელების პირშონი გარდაიცვალნენ. ეს ბედი არც ფარაოს შვილს ასცდა. მაშინ კი დაუთმო იმან. მაგრამ მოსე რომ ურიებით გაემგზავრა, ფარაო მხედრებით უკან დაეღვენა. ისინი ის იყო დაეწვივნენ თუ არა ზღვა ორად განიზო და გადარჩენ, ურიები გავიდნენ-რა მეორე ნაპირას ხმელეთით, მაგრამ ის კი თავის მხედრობით შეერაფებულმა კვლავ ზღვამ ჩანთქა. შენ აჰსპარ გამოცხადებამე ამბობდი...

ბერძენს თეალები გაუბარწყინდა.

—მე ვე ისტორია ერთის ურიისაგან გამიგონია და შენ ახლა ბალტასარ კიდევ ამტკიცებ მასვე, — სთქვა მან.

—დიად, ჩემს მაგიერად ამბობს ეგვიპტე და არა მოსე. მე განვმარტავ ქვის წერილებსა. მაშინ-დღელი დროის მღვდელი რაღაც ნაირად სწორდნენ რასაც ამოწმებდნენ თეთრად და გამოცხადება დაკუთვლი იყო ხოლმე. მეც ასე წააწყდი ერთ-ერთს დაუწერელ საიდუმლოს. ჩემს ქვეყანაში, ძმებო, ამ ფარაოდან ორი რელიგია იყო ხოლმე: ერთი სახო-გადა და მეორე — ეგრძობ; ერთი ბევრ ღმერთებიანი იყო და მეორე კი ერთის ღმერთის ამარა. იხაროდეთ ჩემთან ძმანო. ყოველი უცხო ერთა დათრუგვანა, ყოველ მეფეთა სიჯიუტე, ყოველივე მტკების გამოგონებანი, ყოველივე დროთა ცვლილებანი — ყველაფერი ამაო იყო. როგორც თესლი მივებში განხეული თვის დროის მომლოდნელი, დიდებულმა ქეშმარტებამ განაგრძო არსებობა; და აი ახლა, დაღდა მისი დრო!

—ინდოელი სიხარულისაგან შტკრთა და ბერძენმა კი ხმა მალლა წარმოისთქვა:

—ასე მაგონია თვით უდაბნოც კი ხარობს თითქო!

ეგვიპტელმა იქვე მდგომ მათარადან წყალი დალია და მერე განაგრძო:

—მე დავიბადე აღექსანდრიაში, მთარათა და მღვდლათა და მივიღე ჩვეულებრივი განათლება; მაგრამ ჩქარა უქმეყოფილენ ვიგრძენ. ჩემი სარწმუ-

ნობეა მასწავლიდა, რომ შემდეგ გარდაცვალებისა და სხეულის დარღვევისა, ოდესმე სული წარმტე-ბაში წავა დაბალის მდგომარეობიდან უკანასკნელს ყოფამდგო, ზნეობრივი ცხოვრების ყოფა-ქცევასთან დამოუკიდებლად. როდესაც მე გავიგონე სპარსელის სიძველეს ჯინჯვატის ხილს გაღმა, სადაც მხოლოდ კეთილი მიემგზავრებიანო, მაშინ ჩემის თავიდან ფიქრი არ მოზრდებოდა არც დღე და არც ღამე და ვფიქრობდი საუკუნო ზეცაში გარდასახლებაზედ. უფეთ ღმერთი მართალია როგორც ამაწავლიდა მე ჩემი მასწავლებელი, ვფიქრობდი, რატომ გარჩევა არა ბორტსაღ მართალსა შორის მეოქო? დაბოლოს მე ვიცანი, რომ სიღვლით ცოდვლათვის წაწყვიტა არის მეოქო, ხოლო მართლათვის უფეთე მხარეება არა თუ ბუღდას, ნირვანსა და ბრამმის სასუფეველში, მელქიორ, არა-კეთილ სინი-დისიერს სამყოფელში, ჰასპარ, არამედ ნამდვილ საუკუნო მსაარულს ღმერთთან ცხოვრებაში. ამან მესხვა გზაზე წამიყვანა. რატომ სამღვდლოებისათვის უნდა არსებობდეს ეს ქეშმარტება მეოქო? ამის მიზეზი ვერ ვიპოვე. ფილოსოფიამ სარწმუნოებას დაბალი თავისუფლება მისანიჭა. ეგვიპტეში რა მიზეზის ნაკვალავი უფიქრდა რომი? ერთხელ ძრიულ ვაშენებულ ბუჰგამეში აღექსანდრიის ერთს-ერთს უბანში მე ვიწყვე ქდაგება. მსმენელი მოდიოდნენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. მოვიდნენ მოწაფეები წიგნთ-საცავში სამაქადინოთ, მღვდლები სერაპის ტაძრიდან, უქმის-მოყვარენი მუზეიდან, თანამემამულენი რაკოტიდან და სხვა მრავალი ხალხი მოაწყვდა ჩემს ქობსა. მე ვქადაგებდი ღმერთზე, სულზე, სიმართლესა და უსამართლობაზე, ზეცაზე, ჯილდოზე, კეთილ-ცხოვრებისათვის. შენ, მელქიორ, მგონი ქებაი მოგებგვეს ღამე; ჩემი მსმენელი კი ჯერ გაჰკვირდნა და მერე საცინად ამიგდეს. მე ჩემსას არ ვიშლიდი მაინც კიდევ. იმათ ვიგონებე მიმახალეს თაშში, ჩემი ღმერთი საცინოდ იიგდეს და ჩემს ზეცას კვირნა დააყარეს. რომ ტუთელი უბრალოდ არ მექადაგნა მე იმათ გაცვილდ.

—ინდოელის გულისადაც ოხვრა ამოხდა და სთქვა: «კაისი მტერი კაცივითა».

ბალტასარი სდუმდა.

—მე ვითქვარ და ბოლოს ეს გზა ვირჩიე, სთქვა მან.

მდინარეს გაღმა, ერთის დღის საეღოზედ ქალაქიდან არის სოფელი მწყემსებისა და მებაღეებისაგან გაშენებული. იმ ჩაგვექ ნავში და გვეყლი იქითიკნ. საღამოთი მოვიხმე ყველა იქაური მკვილანი. მე იმათ უქადაგე, ისე როგორც სხვაგან და საცინად

არ აუგდვიარ. მეორე საღამოთი ცქადაგე, იმათ ჩემი სწამდათ და უხარდათ, ჩემი ტბა ქვეყნად მოჰფინეს. მესამე კრების დროს შესდგ. მლოცველთა საზოგადოება. მეორე დაბერუნდი ქალაქში. როდესაც მდინარეზე მიესტურა დიდი ნათი, ქვემოთ ვარსკვლავები არა ჩვეულებრივად ანათებდნენ და შემდგმ საქმე ასე მოვიწყვე, უნდა იწყოს საქმე ისე, რომ მიდრბეს და დიდ კაცებს კი არ უნდა მიჰმართო, არამედ მათ—რომელთათვის ბედნიერების ფილა ცალიერია, ღარაბთა ზედაცხულთა. ჯერ მიწოდდა ჩემი მამულის საქმე ისე დამეყენება, რომ იგი ღარაბთათვის ყოფილიყო. ამ დღიდანვე ვიწყებ გზავრობა ნილოსის ზემო და ქვემო საფლგნში და ექადაგებდნენ ერთს ღმერთზე, მივლს ცხოვრებაზე და ზეცაში დაჯილდოებაზე. მე კეთილს საქმეს ჩავდილიდი, მაგრამ რამდენს კი არ ვიკოვი. ეს კი უტყველი იყო რომ შრავალი მიიღებდა მას, რომლის სანახავად ახლა ჩვენ ვმოვლოთ.

მესაუბრეს სახე გაუბრწყინდა, მაგრამ მღვლეურებამ დასძლია და კვლავ განაგრძა:

ასე გადიოდა წლები მშებო და ჩემი საფიქრებელი მხოლოდ ერთი-და ეს იყო: როდესაც მე ვწავლა, ჩემს დაქვებულ საქმეს რა მოუვლა მეთქი? ნუ თუ იგიც ჩემთან ერთად უნდა მოისპოს? მე დიდ ხანს ვფიქრობდი მისთანა რამ დამეარსებინა, რომელიც ჩემს შრომის დამეგვირგინებელი ყოფილიყო. თქვეთთან რომ არაფერი დაეფარო ვიტყვი, რომ ეს მქონდა აზრად, მაგრამ საქმეს ბოლო ვერ მოუღე. ჩემო მშებო! ქვეყანა მისთანა მდგომარეობაშია ამ ქენად, რომ ძველის მიტკარამის საბრწყინებებსაც კი სხვაგვარად უნდა მოეცეს. ის არამც თუ ღმერთის სახელით მოვა, კიდევ დაჯერებს მის მიერ წარმოთქმულ სწავლაში. მან უნდა დაამტკიცოს ღმერთის არსებობა. ღმერთებით ისეა სასეს სული, ცრუ ღმერთებმა ის აავსეს ყველაფერი, დედა-მიწაზე, ზეცა, ჰაერი, რომ პირუანდელის რელიგიის დასაბრუნებლად თავი უნდა დასწარნ მისმა გამავრცელებებმა უარის უთქმულად. ამ ხარისხამდე ვის ძალუქს ჩვენს დროში დააყენოს საბრწყინებება თუ არა თვით ღმერთსა. ერის გამოსახსნელად საქიროა რომ იგი კვლავ პირის-პირ მოვიღეს.

ღრმა მღვლეარებამ მოიკცა სამთავენნი.

—ჩვენც ხომ მის სანახავად მივდივართ! წამოიძახა ბერებმა.

თქვენ მიხედვებით, რომ ჩემმა ცდამ ამაოდ რად ჩაიარა, საჭეა ეგვიპტულმა. ზეგარდო მოწამერი ნიჭი არ მქონია. იმ რწმენამ, რომ ჩემმა საქმემ

უარედ უნდა ჩაიაროს მეთქი, მე აუტანელ უბედურ კაცად მაქცია. მე ლოცვა მრწამად და ჩემი ვედრება რომ წიდა და ძლიერი ყოფილიყო მე თქვენსავით ავსციდი უბეირო გზასა, წავეგო იქ, სადაც აღამაინი არ იყო, არამედ უფალი მსუფვედა. მესუარე ჩანჩქერის გაღმა მდინარეებში, მდინარეების შესართავთან, ბარელ-ამიანს გაღმა, შიგ შორეულს აფრიკაში დაივცი ბინა. იქაა ერთი მთა ფირუზის ფერი, რომელიც დილით სცემს ციეს ჩრდილს დასაღვთის უდაბნოსაკენ და მის გამდნარის თოვლისგან იცხება ერთი ტბა დასაღვთისაკენ მდებარე. ეს ტბაა დედა დიდის მდინარისა. ერთს წელწაღზე მტეი იქ დაეყვად და სულს ლოცვით ვსაზრდოვებდი და ხორცს კი დაფინების ნაყართან. ერთხელ მე ბაღნაში დაესვინრობდი ქვეყანას აღსასრული მოელის. როდის მოხვალ შენ? რატომ არ უნდა ვიხილო მე გამოხნა აი ღმერთო! ასე ვლოცულობდი ჩემთვის მე. სარკისებურ წაღზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ერთი მთვანი თითქო დაიძრა თვისს ადგილიდანაო, — ზემოთ წვიდა და ისე გაბრწყინდა თითქო მზეაო; მეერ ჩემსკენ წამოვიდა და ჩემს თვანან გაქარდა ერთის შეხედვებით ისეთი ახლო იყო რომ შეძენილო ხელი მომეკიდა მისთვის. მე პირქვე დავმზებე; თვალზე ხელი დავიფარე და ყურში ამ დროს რაღაც არა ქვეყნური ხმა მომესმა: „შენმა კეთილმა საქმეებმა სძლიეს. კურთხეულ ხარ შენ მე მიტრაიმისაო. დადგა გამოხსნის დრო. ორს სხვა პირებთან ერთად, რომელნიც მოვლენ შორეულის ქვეყნიდან, შენ იხილავ, მაცხოვარსა და სწამებ მისთვის. აღსდგე დილით და შეხვიდი მათ, როდესაც სამივენი მიხვალთ იერუსალიმში, ჰკითხეთ ერთსა: „სადა შობილი ვყოფიე ურიათა-თქო, ვინაიდან ჩვენ ვიხილეთ ვარსკვლავი თვისი აღმოსავლეთით და გამოგზავნილი ვარ მის თაყვანისა სსცელად. დასდგე ყოველივე სასოება სულზე, რომელიც გიწინამძღვრებს შენ“.

—აი ამ სინათლემ გააბრწყინა ჩემი გული და სული იყო ჩემი ხელ-მძღვანელი. მან მომიყვანა მე მდინარის ქვემო მემფისამდე, სიდამაც მოვეშაღე უდაბნოში წასასვლელად. იქ ვიყიდე აქლემი და წამოველ აქ შეუჩრებლად სუეცით, კუფელით, მოაშით და ამშობო. ჩვენთან არს ღმერთო! მძანო ჩემნო?

ის რომ შეჩრდა, მეერ ყველა წამოდგენ და დაუწყვეს ყურება ერთი მეორესა.

—მე ისეთი რომ ტყულობდა კი არ გვიამბია ერთი მეორესთინ ჩვენს ერებზე და მათ ისტორიაზე

მეთქი, ვაგარძელა ეგვიპტელმა. ჩვენ მივდივართ იმის სანახავად, ვისაც გროდების მეუფე ურიათა. ამ სახელით უნდა მოეხატათ ჩვენ ის. აი რადგან ეხლა შეხვდებით ერთმანეთს. ტ. ერთმა მეორეს მოუსმინეთ თვის თვისი თავგადასავალი ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ის მხსნელია არა თუ მარტო ურიებისა, არამედ მთელი ქვეყნისა. პატრიარქ ნოეს წარღვის შემდეგ ჰყავდა სამი შვილი, რომელთაგან ხელ-მეორედ გაშენდა ქვეყანა. ისინი გამრავლდნენ ძველის არიანში, აზიში, ინდოეთში და აღმოსავლეთში; უნძროსის შთამომავა წაივლიდა სამხრეთისაკენ, ევროპაში; მეორეს შთამომავა აფრიკიდან გაღსაული მუწამულის ზღვის ახლო მდებარე კლდნაოში დაშენდა; უკანასკნელითაგანი ახლაც ცხოვრებენ კარებში ნილოსის ახლო.

თითქმის რაღაც უმღვევლმა გრანობამ შეიპყრო ისინი, სამთავემ ერთი მეორეს ხელი ხელში ჩაავლეს.

—ამაზე მეტი სასწაულებრივი შეხვედრა რაღა იქნება, —ამბობდა ბალტასარი. როდესაც ვიხილოთ, ჩვენ უფალი თავყანი ვსუტე მას; როდესაც ერთი მეორეს დავმორღვებით ქვეყანა შეიგნებს, რომ ზეცას მახვლით და კაცის სიბრძნით კი ვერ დავიარსებთ, არამედ სარწმუნოებით, სიყვარულით და კეთილის საქმეებით.

ჩამოვარდა სიწაყე, რომლის დროს ხან იხვრან ისმოდა, ხან ტრემლები ჩამოსდიოდათ თვალთაგან მათ, ამოსათვის, რომ ის სიყვარული, რომლითაც ისინი შეპყრობილ იყვნენ, გამოუთქმელი იყო. უღბნო თან-და-თან ხარობდა. მზე ჩასვლას ეშურებოდა. აქლემებს ეძინათ.

გაიარა ცოტა ხანმა, ადღეს სუფრიდან და ნამუსრეთი ჩააწყეს ხურჯინებში. ისინი კარავში დადგეს და სახალნეები დაამზადეს; საწიფე, ამახანავები შესხნდნენ აქლემებზე და ერთს თოკს მოჰკიდა ხელი ყველამ და თავი თოკისა კი ეგვიპტელს ეჭირა. ისინი მიემგზავრებოდნენ დასავლეთისაკენ. ცივს ღამეში აქლემები ზღაზენით მიაბიჯებდნენ ერთს ბილიკზე, გამბით. მგზავრთ მუსაიფი შესწყვიტეს. მთავრე თვის სამფლობელოდან წელ-წელა ამოსკურდა და როდესაც სამი მგზავრნი გაეწყკავენ მთავრის შუქზე მოჩვენებასავე იყვნენ. ენახთ პაერში მათი თავების სწორა რაღაცამ იელვის; როდესაც შეხვდნენ იმას მგზავრებმა, ის სინათლის ბურთად გლიტკა, რომელსაც თვალს ვერ გაუსწორებდით. მათ გულმა ძვერა იწყია; სული აუფურთოვანდათ და თითქმის ერთხმად წამოიძახეს: „ვარსკლავი, ვარსკლავი! ჩვენთან-არს ლმერთო!“

(შედეგა იქნება)

მ. კ. ანთაქ.

ბანსხალეა

1905 წლის 14 იანვრიდან

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმპერი“

წელიწადი მეოცდაცხრე.

უთველ დღე, ორშაბათობითაც კვადიკუბული ფორმატით, განსხვებულთა რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით.

წელიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში პრემიად 12 წიგნს შემდეგის სათაურით:

„იერიის ბიბლიოთეკა“.

გაზეთში და საბრეში წიგნები იქნება ხოლმე

სურათები ღ სხვა-ღ-სხვა ილუსტრაციები

ფასი გაზეთისა: წელიწადში 10 მან. რომლის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დაბედეს 4 მან., I მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მანეთი, ვინც ნახევარ წლით, ან თერთრედ გამოიწერს. უნდა შემოვიტანონ თვეში თითო მანეთი.

სასაღხო სკოლების მასწავლებლებს, თვათ სკოლებს და სხვდსო სამკათსეკლეებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მხეთად. ცალკე ნამუერა 3 კაზ.

ფოსტ. ადრ. Тифлиси, редакция „Иверия“.
3—1

„მოგზაური“

1905 წელს

გამოვა ყოველ-კვირამულ გაზეთად,

ახლის სრულის პროგრამით და მიმართულებით. ფასი იგივე 5 მანეთია წელიწადში, რომელიც ხელის-მომწერს შეუძლიან ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანოს: 3 მანეთი ხელის მოწერის დროს და დანარჩენი 2 მანეთიც პირველ მისისათვის. პირველი ნომერი გამოვა 16 იანვარს.

ფოსტას ადრესი: Тифлиси, редакция „Могзаური“.
რედაქტორ-გამომცემელი ივანე პ. რაზომარაშვილი.

3—1

ხელის მოწმად 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

წ. „**ცნობის ფურცელი**“ № X.

სურათმზიანი და მამულებით.

ფასი გაზეთისა გავზავნიო

კავკასიაში და რუსეთში: სახლურ გარეთ: მართის ფლით 6 მანეთი. მართის ფლით 9 მანეთი.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწმების თანავე 4 მან.

და დანარჩენი 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

წელიწადი „**ეოჯიბე**“ მეთორმეტე

ფასი ჟურნალისა გავზავნიო

კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით 10 მ., ცალკე № 1 მან.

სახლურ გარედ: 1 წლით — 13 მან., ცალკე — № 1 მ. 20 კ.

გინგ „მოაბიეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი

და მატეპანი და ცნობის ფურცელი უფასოდ გამგზავნება

მიიღოდ ქალაქ გარე ვასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის

უნდა დაუბატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწმებისთანავე

უნდა იქნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად — 6 მან. ქალაქ გარედ

მცხოვრებთათვის, და 6 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტა-

მდე — 3 მ., 1-ლ აგვისტომდე — დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც

იწერეთ.)

როგორც ცნობის ფურცელისა, ისე „მოაბიეს“ მიიღოდ

წლიურ ხელის მოწმებზე გავზავნებათ თხზულება გამო-

წენი და ესხანედ მწერლის სერვანტისის

წ. **ღონ-პინოტი** № 1

ფარეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნი ნიკოლოზ ავალიშვილის

მიერ და შედარებულია ვიარტოს ფრანგულ თარგმანთან

აღქეხანდ რე სარაჯიშვილის დახმარებით

ორი ტომი შეიცავს დაახლოებით 1700 გვერდს

(სამისამდე სურათით) პრემიალ და რიგებულ

ეპიკების ნაწერების ფორმაცისას.

1905 წ. ხელის მოწმებზე დაურიგებათ პირველი ტომი,

ხოლო მეორე ტომი გავზავნებათ 1905 წლის ხელის

მოწმებზე.

გინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწმების

გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდებს მიიღოს მეორე

ტომი, რისთვისაც დაუბატონებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში

მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისის გარედ მცხოვრები,

აგრძედე 1906 წ. ახალი ხელის მოწმების მიიღებს პირველ

ტომს ამავე პირობით.

ზრემის გასაგზავნად ტფილისის გარედ ხელის მოწმებზე-
ლებმა უნდა დაუბატონ 70 კაპ. წლიურ ფასის კარდა.
გარდა ამისა „მოაბიეს“ წლიურ ხელის მოწმებზე
გავზავნებათ

„**მასალები საქართველოს ისტორიისათვის**“.

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნათავნ ხელთ-წაწერიდან იბეჭდება და შეი-
ცავს 300 გვერდს „მოაბიის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანჭის დიდი ქუჩის, ქ.
მასსავთბის სადგომი.

ადრესი: Тифлисъ издательство „Моянбѣ“-Ционисъ Пурцели.
4—4

ახალი სახმავწილო შუჩნალი

„**ნაკალული**“
სურათმზიანი

გამოიცემა მცირე წლივან და მოზრდილ ერმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლივანთათვის და
ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის
დამატებით.

წელიწადი იანვარში 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე,
შუჩნალის პარკობაში

- 1) მოთხრობანი და ლექსები;
- 2) ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა;
- 3) აღმოჩენათა და მოგონებათა ქრონიკა;
- 4) წარები: ზონსწრული სიტყვა-პასუხი და ანგელოგიები.
- 5) სითამაშონი, გასართობი; რეზუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხ.;
- 6) პედაგოგიური წერილები;
- 7) მეთხველთა წერილები;
- 8) ფოსტის ყუთი და
- 9) განცხადებანი.

შუჩნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს 5 მ.
ცალ ცალკე 3 მანეთი.

გამომცემელი ჟურნალისა **მწ. ნინო. ე. ძოგალაშვილი.**

რედაქტორები **მწ. ძალ. დ. პრისთავინა.**
ნინო ნიძ. ჯურაბიანიშვილი.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5,
სახლი პოპოვისა, სადგომი მარამ ივანეს ასულის დეგურისი.
ხელის მოწმება მიიღება: რედაქციაში, წერა-კითხვის
გამყურ. საზოგ. კანცელარიაში და ჟურნალის აკტუალს.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редак. журн. „Накалული“

შილიზა ხელის-მოწერა 1905 წლისათვის ორ-
პირიველ ბაჟოცებათა პართულს

XXII წ. „მწეშის“ -ზე XXII წ.

XX წ. რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე XX წ.

ქუ რ ს ა ლ ი ს ფ ა ს ი :

12 თეთი მწეშისი 3 მ. 6 თეთი მწეშისი 2 მ.
— „რუსული“ 3 მ. — „რუსული“ 2 მ.
— „ორივე გამოცემაზე“ — „ორივე გამოცემაზე“

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა
ვერიალაში რედაქციაში, თბილისში წყარა-კითხვის
გამაჟრეკელეველ საზოგადოებას წიგნის მ.ლაზაში.

ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის
შემოტანა მან ორივე ქუ რ ს ა ლ ი ს თვის უნდა წარმო-
ადგინოს 3 მან. პირველ იანვარს და 2 მ. პირველ
ივლისს. მარტო „მწეშის“-სთვის: პირველ იანვარს
ორი მან. და პირველ ივლისს ერთი მანეთი.

სოფლის მასწავლებელთა და ღარიბთა გაზეთები და ეთნო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ-
რედაქცია იმყოფება დ. კვირილაში რედაქ-
ტორის საკუთარ სახლში.

ბარეშე მცხოვრებთ ქუ რ ს ა ლ ი ს დაბარება შეუძლიათ
ამ აღრისით: Вь Квирисы, в редакцию газетъ и
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-
დენიმე სრული გამოცემანი „მწეშის“-სა, რომელ-
ნიც ორ მანეთად დაეთმოებათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა
სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კა-
თალოგი დრო-გამოშვებით ქუ რ ს ა ლ ი ს ი დ ა ც ი ი მ ე ტ ე ბ დ ა
და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

საქმეწი ლო ნახსტეხიანი ქუ რ ს ა ლ ი ს

„ჯეჯილი“

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელე. ქუ რ-
ნაღში ორი განყოფილება: პატარებისათვის და
მოზრდილთათვის.

«ჯეჯილი» მონაწილეობას მიიღებენ, რა-
გორც კვლევა, ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.
რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ
დონისძიებას ხმარობს ქუ რ ს ა ლ ი ს გასაშუკობე-
სებლად.

რედაქცია ეცდება ხშირად ჩაურთოს «ჯეჯი-
ლის» ნომრებში ნახსტეხი ფერადი წამლებით და
აგრეთვე შედლებისამებრ მისცეს შრეშიათ სასა-
მოგნო და სასარგებლო წიგნაკები.

ქუ რ ს ა ლ ი ს „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის
საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რეგე-
ბისაველ სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხა-
ვით.

ქუ რ ს ა ლ ი ს «ჯეჯილი» ტფილისში რედაქციით
ლის 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.
ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 50 კ.
ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში — წყარა-კითხვის გამ-
სახოვადოების კანტ. (Двор. ул. х. Груз. Двор. № 101),
და თეთი «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артия. ул. № 5).
ფოსტის თდრესი: Вь Тифлисе, в редакцию грузин-
дѣтскаго журнала «Джеджили».

3-2

სტამბა

ქუ რ ს ა ლ ი ს „მწეშის“-ს რედაქციისა

დ. შვირილაში.

დებულობს ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს

რუსულს, ქართულს და ევროპიულ ენებზე.

სუფთად, სწრაფად და იაფად

რაშილად დაწმუნდება ყოველივე საქმის დამკვეთი



საჭირო კალენდარული ცნობანი.

კვირაიკის, ხმის და საცისკრო სახარების მაჩვენებელი 1905 წელში.

ამისთანა კალენდარული ფურცელი სხვა საჭირო ცნობებით და სურათებით გაუგზავნებათ ახელს ხელის მოძუენს პირველ ნომერთანვე.

თ თვენი.				თ თვენი.			
რწმ.	კვირ.	ხმ.	სც.	რწმ.	კვირ.	ხმ.	სც.
იანვარი.				ივლისი.			
1	—	7	ლ	3	4	3	4
2	—	8	ლ	10	5	4	5
6	—	—	ლ	17	6	5	6
9	—	1	1	24	7	6	7
16	30	2	2	31	8	7	8
26	31	3	3				
30	32	4	4				
თებერვალი.				აპრილი.			
6	3	5	5	7	9	8	9
13	3	6	6	14	10	1	10
ხორც. დაურწყება.				21	11	2	11
ვეკლავის დაურწყ.				28	12	3	1
27	—	8	8				
მარტი.				მაისი.			
6	1	1	9	4	13	4	3
13	2	2	10	11	14	5	2
20	3	3	11	15	15	6	4
27	4	4	1	25	16	7	5
აპრილი.				ივნისი.			
3	5	5	2	1	3	2	3
10	6	6	ლ	8	4	3	4
ალღომა.				15	4	7	7
17	1	1	ლ	22	6	5	8
24	2	1	1	29	7	6	10
მაისი.				ივლისი.			
1	3	2	3	5	8	7	ლ
8	4	3	4	12	1	8	1
15	4	7	7	19	2	1	2
22	6	5	8	26	3	2	3
29	7	6	10				
ივნისი.				აგვისტო.			
5	8	7	ლ	4	26	1	4
12	1	8	1	11	27	2	5
19	2	1	2	18	28	3	6
26	3	2	3	25	29	4	7

მწყემსი

05
მ. 379



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდის ცხოვართათვის. იოან. 10-11.
შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყველული. მსრფი იყოს სიბარული ცოა შინა, ერთსათვის ცოდვილისა. ლუკ. 15-4.
სავედით ჩემდა ყოველი მამურალნი და ტვირთ-პიძენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11-28.

№ 19 1883-1905 15 თებერვალი

მიიმი იოანე გომართლის სტატიის გამო-
რა გზას უნდა დაადგინო სამღვდლოშია?*

1883

უბედურობაა როდესაც მზარეული ხარაზობას დაიწყებს და ხარაზი მზარეულობას.

(დასარული*)

განვარძლოთ, მკითხველო, სიბრძნისაგან იოანე გომართლის ეფესოელის საკითხავი:

„ყოველსავე ამის სამღვდლოება შესძლებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის თავისუფალი და სრულეზით დამოუკიდებელი გახდება. დღევანდელი სამღვდლოება ბიუროკრატის მონა და მოსამსახურეა; ის ხალხს კი არ ემსახურება, არამედ ბიუროკრატის, და სწორედ აქ არის მიზეზი იმ ვარემოებისა, რომ ხალხსა და სამღვდლოებას შუა ხიდი ჩატეხილია.“

სამღვდლოების განთავისუფლება შეუძლებელია ისე, თუ შთელი ხალხი არ განთავისუფლდა, თუ არსებული რეჟიმი შობად არ შეიცვალა. დამოუკიდებლობაც რომ მოიპოვოს სამღვდლოებამ, არსებულ პირობებში ის ვერაფერს ვერ გააკეთებს ხალხის საკეთილდღეოდ, რადგან იმის ყოველგვარ მოქმედებას, ხალხის ბედნიერებისაკენ მიმართულს, ბიუროკრატია ყოველთვის ფრთებს შეაკვეცს. სამღვდლოების საკითხი შთელის ხალხის საკითხია და ცალკე მისი გადაწყვეტა შეუძლებელია; შეუძლებელია რაიმე საშუალებით სამღვდლოების აღდგენა ხალხის თვალში ისე, თუ არსებული რეჟიმი არ შეიცვალა.“

„ამიტომ დროა, სამღვდლოება ხალხს ამოუღეს გვერდში, ხალხს დაეხმაროს შთელის თავის ძალღონით ბიუროკრატის დამარცხებაში; ამით უზღაღვენ იგი თავის სახელს და მოიპოვებს შესაფერ

*) იხ. „მწყემსი“ № 17, 1905

ადგოს ხალხის ცხოვრებაში. ამგვარ მოქმედების გარეშე კი ყოველი სხვა გზა ამოი და ტყუილი იქნება და სამღვდლოებას ვერ მიიყვანს საწადელ მიზნამდე.“

ბ. გომართელს, როგორც თვითონ გამოაცხადა არაფერი საიტიოსი არა სწამს-რა და კაცის სულიერი და ზნეობრივი მოთხოვნილებანი ამოი მორწმუნეობად მიაჩნია. მღვდლის უმთავრეს მოვალეობას კი შეადგენს, რომ იგი ნიადაგ ზრუნავდეს თავიანთ სამწყსოთა სულის ცხოვრებაზე, ნიადაგ ასხრავდეს, რომ იგი პასუხის მებეღელია ღვთის წინაშე-თავიანთ სამწყსოთა სულის წარწყმელისათვის. იგი ვალდებულია არ დაუტაროს არც ერთი სული, რომელიც გამოყიდულია ქრისტესაგან. ამას ავალდებს მწყემსთ თვით იესო ქრისტე, როდესაც ბრძანებს: „წარვედით და მოიმოწუფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისადა, და ძისათა და სულისა წმიდისათა“. სახარების სწავლით დადგენილნი არიან შეიღებნი საიდუმლონი, რომელთა აღსრულება სავალდებულოა მღვდლოთათვის...

ურწმუნო კაცთან ლაპარაკი და ღაბა ღაბით ისე ძნელია, როგორც გიჟთან. გიჟს ვლახარაკი ამდენიც გინდა, ის შენს ლოლიკურ მოსახრებას სრულდებთ ყურს არ დაუვადებს, ის შოლოდ იმას გეტყვის რაც მისი ანთებული ან დაჩლუნგებული ტვინი შთაგონებს. შენს სიტყვებს ხშირად ყურსაც არ ათხოვებს. კაცს, რომელსაც არაფერი სწამს სახარებისა, რას დაუმტკიცებთ თქვენ ამ სახარებით? მაკარ ამ ჩვენს „სასწავლოთმომქმედ“ ექიმს იოანე გომართელს იესო ქრისტე სხვებ თუ არა სწამს, დიდებულ მოქადაგეთ მიანც მიანია, როგორც თვითონ აღიარებთ. ამისათვის სახარების სიტყვებს, როგორც მის სიტყვებს, მის სწავლა მოძღვრებას, უარი არ უნდა უთხრას. აი რას ვკითხულობთ ჩვენ სახარებში:

ნუ ჰზრუნავთ სულისა თქვენისათვის, რაა ჰსჯამთ და რაა სჯათ, ნურცა კორცთა თქვენთათვის, რაა შეიშობათ. ანუ არა სული უფროს არს საზრდელისა, ან გვაძეი საშობისა?

მიხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ არა მსოფს-ტეს, არცა მქთან, არცა შეიტყებენ საუნჯეთა, და მამა თქვენი ზეკათა ჰზრდის მათ, არამე უფროს თქვენ უმოკლეს ხართა მფრინველთა?

ხოლო თქვენ ძიებდით პირველად სასუფველსა ღმრთისსა და სმართელსა მისსა, და ესე ყოველი შეიღნოს თქვენს.

ეკრძალვინთ ცრუ-წინასწარ-მეტყველთაგან, რომელნი მოვედნენ თქვენდა სამოსლითა ცხოვართათ; ხოლო მინაგან იყვნენ მველ-მტაცებელ.

რამეთუ რა საზრებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს, და სული თვისი იხლვოს? ანუ რა მიხსცეს კაცმან ნატულად სულისა თვისისა?

ზემო მოყვანილი სახარების სიტყვები ცხადით და აშკარად მოწმობენ, რომ მღვდელი უმეტესად უნდა ზრუნავდეს თავიანთ მოწუფის და სამწყსოის სულის ცხოვრებისათვის და მათ ზნეობით ამაღლებაზე და არა თავიანთ სააწყსოთა ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ფუქია კაცის ამ ქვეყნად ფუფუნებითი ცხოვრება, ფუქია ხალხისათვის იღვალური მართვა-გამგეობა თუ იგი დაცემულია სულიერად და ზნეობითა! რა უნდა შეიძინოს კაცმა ამ ქვეყანაზე თავის სეინდისზე და სულზე უძვირფასესი? მაგრამ ტყუილად დროს დაყრგვა იქნება, ამ საგანზე ბაასობის გაჯრძელება ბ. ექიმ გომართელთან. თათარს და ურას, რამდენიც უნდა ვანუშარტო ქრისტეს მცენება, რამდენიც უნდა შოლუყვანე სახარების სწავლა-მოდვრება მათ მიანც ვერ დაწავრებ და თავიანთ სჯულის მცენებაზე უარს ვერ ათქმევინებ...

ბ.ნი გომართელი ჯერეთ ახალგაზრდა კაცობა გამოუტყელი ცხოვრებაში. სულიერი ქვეყნის უარყოფით დიდ გენიოსად მოაქვს თავი. იგი სახარების სიტყვებს უსულმართად განმარტებს. *

ბ.ნი გომართელი, ძველი დროის პაიკებოვით ხშირათ იცლის აზრებს. და, დარწმუნებული ვარ თავის დღევანდელ რწმენას სიბერის დროს, თუ სწლ გონებაზე დარჩა, უთუოდ შეიცვლის და ბევრსაც ინანებს ზოგიერთ გამოგინდელი მწერლებოვით რაგორც, მაგალითებთ, ნანობაზ პუშკინი და სხვები, მაგრამ გვინდა იქნება!..

გომართელს ჰგონია, რომ მდიდრები ამ ქვეყან-

* სემინარიაში შეიფობავს დროს ერთი ამხანაგი მუყავა, რომელიც ყველა შეტარებუმა შეხანსენული იყო. არც ერთ საგანში ერთზე და ორზე უკეთესი ნიშანი არ ჰქონდა. დარეინის წიგნი იყო და ნიადაგ იღვალაში ბარება. ვინც ერთხელა რა წიგნით, ყველას ეუბნებოდა: დარეინის თხზულებას დაწითი ფარავდა თავის უფილობას და გონებით სიდატაკეს. ...

ნაზე ბენდიერები არიან. არ იციან მან თუ რა ჯოჯოხეთია ცხოვრება ზოგიერთ მდიდრის და რა ზედუნებიათ სტოკოვებს მდიდარზე ბევრად ულარიბეთი ოჯახი. ჩვენმა „შესანიშნავმა“ ექიმა, იოანე გომართელმა, არ იციან ჯერეთ, რომ ქვეყანაზე არ შეიძლება ყველა ერთნაირად ბენდიერად სტოკოვრებდეს ისე, როგორც არ შეიძლება ყოველი კაცი ერთნაირი მალხაზი გონებით, ერთნაირი ქვეყნით და ნიჭით იბადებოდეს. ბ. გომართელი თავისებურად, ახირებულად უყურებს ხალხის ცხოვრებას, ახირებულად და თავისებურად ხსნის ხალხის სიღარიბეს და სიძაბუნეს. ხალხის ყოველივე უბედურობის მიზეზად სთვლის მართა ბიუროკრატის და მდიდრებს. გომართელი ისეთ რამეს მიაწერს ბიუროკრატის და მდიდრებს, რომელიც სრულებით არ მიეწერება. ქალები არ არიან კმაყოფილნი, რომ იგიინ ქალებად დაიბადნენ. მე დარწმუნებული ვარ, ეს რომ დღედაცაქებმა შესწივლონ ბ. გომართელს ის უთუოდ ამ მოკლენის მიზეზად ბიუროკრატის დასახელებდა და მღვდლებსაც დამნაშავედ გამოიყვანდა, რადგან, მისი აზრით, „მღვდლები ბიუროკრატის მდაბალი სურვილის აღმასრულებელი არიან“!

სახარება ბრძანებს: „არა შესაძლებელ არს მსახურება ღვთისა და მამონისაო“ (ეშმაქსაო). კაცი ღმერთს თუ არ ირწმუნებს მამონას, (ეშმაქს) ირწმუნება და ემსახურებაო. წინეთ ბ. გომართელმა აღიარა, რომ არა მრწამს არაფერი საზნაოვო და ეშმაქების არსებობა კი სწამს! ეს ცხადად ხსნას მისი სიტუეისაგან „სამღვდელოება ეშმაქებს ემსახურებაო“. ვინაიდან გომართელს სამღვდელოება ეშმაქების მოსამსახურეთ მიაჩნია, რამდენიც უნდა დაუმტკიცო მას ვერ დაჯერებთ, რომ ს-მღვდელოებას საბრებლობის მოტივან შეეძლოს ხალხისათვის, რომ სამღვდელოებამ რიგაინი და დიდი სამსახური გაუწიოს ხალხს...

მე შემიძლია მთელი სამღვდელოება უნაკლულად დაესახო და ყველანი თავის დიდი მოვალეობის აღმასრულებლად. ამის მოთხოვნა ყოველი მღვდლისაგან დღეს არც შესაძლებელია, ვინაიდან ჩვენში მღვდლები არ არიან ყველანი მოშაბდებულნი და გონებით განვითარებულნი, რომ ხალხის წინამძღოლობაც შეიძლონ სწავლით და ქადაგებით და მღვდელმოქმედების აღსრულებაც. მაგრამ ამაში დამნაშავე ისევე ხალხი, რომელიც არ დაუძებს

როგორც უნდა იყოს მღვდელი, ოღონდ წირვა და საიდუმლო მღვდელმოქმედებათა შესრულება შეიძლოს. უმრავლესი ნაწილი სამღვდელოებისა ამ უქანასკნელ მოვალეობას ასრულებს. იმათ სრულეზბით არ იციან ბიუროკრატია და არც ბიუროკრატია მიეჭკვეთა თავიანთ სურვილის აღმასრულებლად მათ. დამი. მაგრამ მრავალნი არიან ისეთებიც, რომელნიც ბ. გომართელზე ბევრად მეტს აკეთებენ სოფელში და ბევრად მეტს სამსახურს უწევენ საზოგადოდ ხალხს და განსაკუთრებით თავიანთ სამწყსოს. გომართელის ხსენება არ იყო ქვეყანაზე იმ დროს, როცა სოფელში ჩამდგარი ბევრს ევოგებოდით ხალხის შემავიწროებელი და დაამკვერელი. ემოწმებთ ამაზე შორ. მარის გლებობას. ჩვენს გარდა სხვაგანაც არიან ამისთანა მუშაენი, მაგრამ, გომართელის აზრით თურმე, ყველა სამღვდელოება ეშმაქებს ემსახურება!.

სად ბრძანდებოდით, ბ. ი. გომართელი, 1886 წელში, როცა ჩვენ, ვახუშტში წერით კი არა, ოფიციალურად განვაცხადეთ პროტესტი დედაენის მოსპობაზე სკოლებში, რომლისათვის განსვენებულნი იანოჲცი ციუქვეტიებისკენ გადასახლება გვექადოდა. სად ბრძანდებოდა ბჭი გომართელი, როდესაც არც პრესას, არც მთელ თავდააზნაურობას და არც გლებობას არ მიეგზრეთ ერთ თავის დამამკირებელ დღესასწაულობაზე?.. სად ბრძანდებოდა, ბ. ი. გომართელი, როცა საწყელი დაზარული გლებებში შორაანის მახრისა ჩვენის ქომავლობით განთავიზიშულდა მუქთად შეშის ზიდვისაგან პოლიციაში მოსამსახურეთათვის? იცის თუ არა, ბ. გომართელმა, რამდენი უსამოივნება მოგვეგვოზია ჩვენ ბიუროკრატის მოსამსახურებისაგან გლებების ქომავლობისათვის? ეხლა თქვენთვის მომინდია, მკითხველო, რამდენად საფუქელიანია გომართლის ბრალდება ვითომც ჩვენ ეშმაქებს ემსახურებოდით. გომართელი, რომ ბრალს არ სდებდეს მთელს სამღვდელოებას მაშინ ჩვენ ხმას არ ამოვიღებდით. მთელ სამღვდელოებაში, რასაკვირველია, შეიძლება ბევრი სამღვდელოება იყოს ხალხისთვის უსარგებლო. თორმეტ მოიქეულში ერთი იუდაგამცემელი გამორია! მაგრამ იუდას გულისათვის, რომელი ქვეყნაინი კაცი იყადრებს ყველა მოიქეულეს გამყიდველად წარღას? გომართელს არა აქვს უფლება რამდენიმე სამღვდელოების ტული ქტევისათვის სახარებაო. ექვთესიაც

დ მთელი სამღვდლოებაც უარ-ჰყოს ღ შეჩვენოს...

გომართელს ჰგონია, რომ მღვდლები არა თანაუგაძრბენ ხალხის სასიკეთო საქმეს და სასურველ მისწრაფებას... ძლიერ სცდები თქვენს მოსაზრებაში, ბ. გომართლო. თქვენსავეთ, რომ არ ეჯიღდეთ, თქვენსავეთ, რომ არ ვეყროდეთ აქედან ის დასკვნა არ შეგიძლიათ გამოიყენოთ, რომ არ ვიყოთ მონატრე სახელმწიფოთის იმისთანა თავისუფალი მართვა-გამეობისა, როგორც სუფევს ევროპის განათლებულ და დაწინაურებულ სახელმწიფოებში. საყოველთაოდ აღვირებთ, რომ არა გერაჰს ჩვენ ხალხის ბედნიერი ცხოვრება იქ, სადაც თვითონ ხალხის წარმომადგენლები არ განაგებენ სახელმწიფო შესავალ-გასავლის ანგარიშს. არა გერაჰს ჩვენ ხალხის რიგანი და წარმატებითი ცხოვრება იქ, სადაც არ არის თავისუფლება პიროვნებისა, ბეკლვითი სიტუცისა და ხარწმუნობისა. დავათვლიათ ყველა სახელმწიფოები ევროპისა, დავაკვიროთ მათ ცხოვრებას და იქაურ ხალხის და სახელმწიფოთის მართვა-გამეობას და მიველით იმ დასკვნამდის, რომელიც ესლა მოვიყვანეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, აქვე უნდა ვსთქვათ გამოტეხილად, რომ ჩვენს პრესას და ჩვენს პულიცისტებს ბევრი რა აჯლიათ და ბევრში კოჭლბენ. როცა სჯიან. თუ საშუალებით და რა ღონისძიებით მიანიჭონ ხალხს სანატრელი რეფორმები. ევროპის სახელმწიფოების ხალხს ისე ადილოდ არ მიუღწევია იმ სანატრელი რეფორმებისათვის, როგორც ჩვენში ზოგიერთებს, ესე საადილოდ მიაწიათ. რეფორმების შემოღება, განსაკუთრებით მათავე და მოწინავე კაცებისაგან, ითხოვს დიდ გამჭირახობას, დიდ გამოცდილებას, შორს განმკურნებლობას და ნიუთიერად შეძლების. სამხლარს გარეთ რეფორმების მოსახდენად დიდი ხნისა იმზადებოდა ხალხი. მარტო წერით ვერ მოიახლოვებთ ზაფხულს...

სანატრელი ცვლილების მოსახდენად ხალხი ერთმანეთზე მტრად კი არ უნდა ვადაკლიყო, არამედ შეთანხმობა და მათ შორის ნამდვილი ერთობა და ამკიდრო. ჭრთველები მაშინ იყენენ გამარჯვებულნი, როდესაც მათში იყო ერთობა, თანხმობა და მშური სიყვარული. ჭრთველები მაშინ იყენენ უძლეველნი და კლდესავით მაგარი, როდესაც ერთ ხელში თოფი და საომარი იარაღი ეჭირათ და მეორე ხელით ეკლესიას აშენებდენ. ბანი ექიმი გო-

მართელი კი ხალხს უჩრებს ეკლესიები დაანგრიონ და სამღვდლოება თავიდან მოიშორონ!.. ამით გაკუთლება საქმე? ამით მივაღწევთ საწადელს? ეკლესიების დაქცევით და მღვდლების მოსპობით სად მიადრწის ბედნიერ ცხოვრებას და რეფორმებს? დავისახველეთ, ბატონო ექიმი იოანე გომართლო, ერთი სახელმწიფო მაშინც სადმე დღეამიწაზე, სადაც ეკლესიები და სამღვდლოება არ არსებობდეს? რალი თქვენ მიხვდით და შეიტყვეთ ეკლესიების და სამღვდლოების მავნებლობა და ამერკვლები, ინგლისელები, შვეიცარიელები, გერმანელები და სხვა ხალხები ვერ მიხვდენ ეკლესიების და სასულიერო წოდების მავნებლობას და ვერ მოსძიებ იგინი საღმრთო წერილი ამბობს: „როცა ეგონათ თავისთავი პრძნად, მაშინ გასულელდნო“. ამას ჰმტკიცებს სწორეთ ზოგიერთების მჯეჯლობა:..

ბ. გომართელს გაუგონია, რომ საფრანგეთში ხალხი კლერიკალების დკონგრაიების წინააღმდეგნი არიანო და ჩვენს სამღვდლოებასაც კლერიკალებად სთვლის! ამით აშკარად ამტკიცებს, ბ. გომართლი, რომ არ ესმის კლერიკალიზმი და არც ჩვენი სამღვდლოება...

შეუძლარი პრძანდებიან ისინიცი ვინც ვიკრობს, რომ ხალხის გაპროლეტარიატებით ეღირსონ სანატრელ რეფორმებს. კარგია, რომ ხალხს არ ესმის რა არის პროლეტარი! არ არის ჩვენში პროლეტარები და ლერთმაც ნუ გააჩინოს იგინი. ბუხტენით და განუშარტეთ ხალხს ვინ იწოდება პროლეტარიატად. შეატყობინეთ ხალხს, რომ უცხოეთში პროლეტარიატებად იწოდებიან ისინი, რომელთაც არ იციან არც დედა, არც მამა, რომელთაც არა გააჩნიათ-რა სრულებით არც სახლი და არც კარი. და მხოლოდ მუშაობენ და დლიობრად იჩენენ თავს. ესლა რამდენია ამისთანა პროლეტარები ჩვენში?..

ზემო თქმული სიტყვებით იმეს კიარ ვამტკიცებთ, რომ რეფორმები საქირო არ იყოს არა, რეფორმები საქიროა მიუცილებლად, მაგრამ ხალხის გაპროლეტარიატებთ კი ვერ დავარსებთ ამ რეფორმებს, არამედ სხვა ღონით და სხვა საშუალებით...

სათქმელი ბევრი გვაქვს, მაგრამ აღარ შევაწუხებთ მკითხველს გრძელი სიტყვით. უკანასკნელად ვითხოვ, ბ. ი. გომართლი, კატეგორიულად ეგონასუხოთ:

1) როგორ ეწინააღმდეგება ჩვენი სამღვდ-

ლოება სწავლა-განათლებას, როდესაც წერა-კითხვის გამავრცელებელი და სკოლების დამაარსებელი ჩვენს გუბერნიაში სწორეთ ეს სამღვდლოება იყო და არის იმ დროიდან, როცა ჩვენში ხსენება არ ყოფილა სახალხო სკოლების დირექტორებასა და ინსპექტორებისა?

2) როგორ ეწინააღმდეგება სამღვდლოება ხალხის კეთილდღეობის დაარსებას და ახალი რეფორმების შემოღებას?

3) რაში მდგომარეობს სამღვდლოებისაგან შიურკრატის მდაალი სურვილის ასრულება?

4) რომელი მოქმედებით გამოიხატება სამღვდლოების მხრით წინააღმდეგობა რეფორმების შემოღებისა?

5) ვითარი იყო საქართველოს ერისთვის სამღვდლოების საშახუბო მეთურამეტე საუკუნემდის და, თუ მეტრამეტე საუკუნეში მის საშახურს ნაკლი აქვს, ზის ბრალია ეს და ვინ არის ამაში უმეტესად დამნაშავე?

6) რაში მდგომარეობს მღვდლის მოვალეობა ხალხის და ღვთის წინაშე?

დგ. დ. დამაშაძე.

P. S. ჩვენ ძლიერ გვაყვირებს ბ. გომართელის მოსწარმული ზსუხი. ბ. გომართელი ვაღაბუღი იყო მოედად ჩვენი ზსუხის დასრულებასთვის, წაეკითხა იგი და მოეცა რიგიანი ზსუხი. ეს მიუცილებელი ვაღა უყვედი რიგიანი მწერლისა, რომელიც აღჭურვილია სიამარღიით და გულწრფელობით. შექმდებ ნომრში ჩვენ გაყსნემო ზსუხს ბ. გომართელის მოსწარმული ზსუხისაგ.

დ. დ. დ.

სამართო სჯულის სწავლების შესახებ.

ქუთათურმა მღვდლემმა, რომელიც, 24 აგვისტოს, სხვა მასწავლებლებთან ერთად, მოწვეულნი იყენენ ქალაქის საბჭოს დარბაზში სკოლებისათვის საგანგებო კომისიის მიერ შედგენილ პროგრამის განსახილველად და, რომელთაც, — როგორც თვითონ ახტადებენ, თავის მოხსენებაში, — კრებაზე ზოგიერთ მოსახრებათა გამო თავისი აზრი ვერ წარმოხტქვეს

სახალხო სკოლებიდან სამღვთო სჯულის განდენის შესახებ, — მხოლოდ ახლა ამოიღეს ზმა და წერილობითი პროტესტი განუტხადეს კრებისამერ მიღებულ რეზოლიუციას. «სახალხო სკოლებიდან სამღვთო სჯულის განდენის გამართლება არაფერთ არ შეიძლება», ამბობენ ისინი: «სალი პედაგოგიის შეხედულებით, ყმაწვილის აღზრდა უნდა წარმოადგენდეს მის ყოველ სულეკ ბუნების ძალთა და ნიქთა პარმონიულს განვითარებას; ამიტომ სკოლა უნდა აძლევდეს საჭირო საზრდას, როგორც კაცის გონებას, ისე მის სულს, რადგან მისი (სკოლის) დანიშნულება მარტო სწავლება კი არაა, არამედ ნამდვილი აღზრდა. 24 აგვისტოს შემეშავებული პროგრამა კი მხოლოდ სხვადასხვა საჭირო ცნობებით გონების გასამიღვრებელადაა ნაანგარშვე. ყმაწვილის გონების განვითარებასა და სულის აღზრდას კი პროგრამაში თითქმის სრულიად არა აქვს დათმობილი ადგილი... სამღვთო სჯულის გონიერული სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყმაწვილის ხასიათის გაწვრთნა-განვითარებაში... ვერსად ვერ გვაგვებ ჩვენ იმდენს შეხანიშნავ მაგალითებს ადანიანისადმი თავგანწირულ სიყვარულისას, იმდენს რწმენის შეურყვევლობასა და სიმტკიცეს, რომ მუდამ მზად იყო სიმართლისთვის, რამდენც დაბადებაში და საქრისტიანო ეკლესიის პირველ საუკუნეთა ისტორიაში... სამღვთო სჯულის პროგრამიდან განდენა პირდაპირ პედაგოგიური ცოდვაა, არც ერთს ვეროპის განათლებულ სახელმწიფოში, რომელთაც ჩვენზე მეტი პედაგოგიური გამოტილება აქვთ, ისეთის ოსტრაკიზმით არ განუღვენიათ სამღვთო სჯული, როგორც ჩვენში უპირებენ მას. მხოლოდ ერთადერთმა საფრანგეთმა გავაკნრო ამ მხრით თავი, მაგრამ იქაც მხოლოდ სიტყვით განიდენა სამღვთო სჯული... თორემ საქმით ისევ ასწავლიან მას იმავე სკოლაში, მხოლოდ სხვა, ახალ, — «მორალი»-ს სახელით... გაუგებრობად მიჯანჯია ჩვენ იმის მტკიცება, ვითომ სამღვთო სჯულის სწავლებით ჩვენ განგებ ვხდიდეთ ბავშვებს ცრუმორწმუნეებად. ვერც ერთი გულწრფელი, კეთილ-სინდისიერი კაცი ვერ უარჰყოფს იმას, რომ კაცს დაბადებიდანვე თან დაყოლილი აქვს ეგრედ წოდებული სარწმუნოებრივი ნიქი (prejudices and ცნობიქს), რომელსაც საყოველთაო ხასიათი აქვს და რომლიც, მასხადამე, ბუნებრივია. ამიტომ,

ლია კიდევ უარ-ყვათ. ნივთიერი ძალდატანება სარწმუნოების სახელით თვით სარწმუნოებას აენებს და ამდაბლებს, ამიტომ ქრისტე წინააღმდეგია ასეთის ძალდატანებისა (მათ. 26, 52). აი დღეა აზრი იმისა რასაც შეგვიძლია უწოდოთ „ქრისტეს პროგრამა“. რადგან ამ პროგრამის მიხედვით სარწმუნოების გავლენა—მოქმედობა უნდა იყოს წმიდა ზნეობრივი, ამიტომ ამ გავლენის შესაგნებობათ საჭიროა თვლი გადავავლოთ ქრისტიანულ ზნეობას.

(შემდეგი იქნება)

რას სწამენ ჩვენს სამღვდლოებაზე.

სწორეთ არასოდეს არ დაწერილა და არ თქმულა ჩვენ სამღვდლოებაზე იმდენი, რამდენიც დაიწერა და ითქვა ამ ორი წლის განმავლობაში. დაწერილზე პასუხის გაცემა მიიწვევს შეიძლება და კიდევ არაფერი, მაგრამ რასაც ეუბნებიან ზოგიერთი, არა მკითხვე მოქალაქენი, ის კი უპასუხოდ რჩება სამღვდლოების მხრით, რადგან ბევრს მოძღვრის არა აქვს იმდენი შეგნება, რომ პასუხი ვასცეს ურწმუნოების შექადებულთა. უმაღლეს სწავლის მიმღებთ მოძღვართ დიდი ჯამაგირიანი ადგილებისათვის ჩაუბუჯლნიათ ხელები, ენა აჭევივებით სასასა მათსა და კრინტს არ სძვრენ. ზოგიერთ სამღვდლოებას დრამის აულებლობა აწუხებს, თორემ საწყისის საქმეს აღარ ეძებს. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ისევე საწყისოთა შორის არიან კეთილი პირები, რომელნიც მაცადილობენ და ქომაგობენ როგორც სარწმუნოებას ისე სამღვდლოებას. ურწმუნონი ყოველთვის ყოფილან, არიან ღ იქნებიან, მაგრამ შორწმუნენი და ნაძლივი ქრისტიანებიც ყოველთვის მრავალნი ყოფილან, არიან და იქნებიან.

ჩვენი ნასწავლი მწყემსნი სრულებით არ აქცევენ ყურადღებას რას ამბობენ და რასა სწერენ ჩვენს სამღვდლოებაზე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. მაგრამ რუსულ ჟურნალ-გაზეთებს ვინდა დაეძებს როცა ჩვენი კუთხის გაზეთებსაც არ ათვლიერებენ და არ ტყობილობენ რასა სწერენ იგინი ჩვენ სამღვდლოებაზე.

დიდი მადლობის ღირსია მთელი სამღვდლოებისაგან პატივცემული ვარაინელი, რომელიც სამღვდლოების შესახებ საყურადღებო შენიშვნებს სწერს „ივერია“-ში. მოგვეყვას აქვე ერთი მისი შენიშვნა, რომელიც დაბეჭდილი იყო „ივერია“-ის მე-199 ნომერში.

უკანასკნელ ვაშს რუსეთის ორმა პერიოდულმა გამოცემამ გამოისტევა თავისი აზრი შესახებ ქართველ სამღვდლოების მიმართულებისა და მოქმედებისა. ეს გამოცემანი არიან თეიური ჟურნალი: „Вопросы Жизни“ და ყოველ-ღლიური გაზეთი: „Московский Вестник“. პირველი პროგრესიული გამოცემაა, მეორე რეტროგრადული, პოლიტიკის მიმართულებისა. ერთმა გამოცემავე და მეორემაც წყვილ-წყვილი სტატია უძღვნა ქართველ სამღვდლოთა კრებულს. თითო სტატია ეკუთვნის თანამშრომლებს, თითო კიდევ რედაქციებს. თანამშრომელი და რედაქტორი ერთნაირად მსჯელობენ, ერთნაირ შეხედულებას გამოისტევავენ, ერთსა და იმავე პანჯზე მღვიან. ერთი დამწერის, მეორე ბანს ეუბნება. გამოადის ორი დუეტო, მაგრამ როგორი? ისეთი, რომ ერთი დუეტო სრულიად წინააღმდეგება მეორესა. რეაქციონერი გწმენი ორსავე თავის სტატიაში ქართველ სამღვდლოებას იხსენიებს დიდის ძაგებით, თითქმის ლანძღვა-ვინებით, აბრალებს მალალატეობას, სებარატისტობას და დაეინებით თხოულობს რეპრესიულ ზომების მიღებას, თითქო მონობის გენიას კიდევ ესაქიროებოდეს ნათობს ვადასხმა. პროგრესიული ჟურნალი-კი ქართველ სამღვდლოებას დიდს ქება-დიდებას უძღვნის და რუსეთის სამღვდლოებას ურჩევს დაადგეს თავის მოქმედებაში იმავე ნათელს, პროგრესიულს მიმართულებას, რომელიც გაუკვლევია საქართველოს სამღვდლოებას. ოთხეუ სტატია, როგორც ეტყობა, დაწერილია რუსთა მიერ.

ჩვენ მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია მცირეოდნად განვმარტოთ მხარე საგნებისა. რა მოსწონს უმოთაგრესად პროგრესიულ რუსულს ჟურნალს ქართველ სამღვდლოების მოქმედებაში? მოსწონს მისი წაღილი—მოიშოროს თავიდან კლერიკალურ-ბიუროკრატიის ბატონობა, მოიპოვოს თვით-მმართველობა, ალაღინოს თვითუფლება და დამოუკიდებლობა საქართველოს აგვისულისა და, მიმინაცვლის მიგვირად, გაუჩინოს მას მზრუნველად ღლიძი მამაქა-

თალიკოსი, ამორჩეული ადგილობრივ სამღვდლოცხობის მიერ ხალხის მონაწილეობით, როგორც ეს იყო წინადასკარტველოში. თვით-მმართველობა და ავტონომია ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება, პროგრესიული ღონისძიება, მეტად სიმპატიური და მიმხილველი ყველა ადამიანისათვის. მაგრამ იქნება არსად ისე საჭირო არა ყოფილყოს ამ პრინციპის განხორციელება, როგორც ჩვენი ეკლესიის სფეროში. იგი იმყოფება, ავტო ერთი საუკუნე მეტია, იმისთანა მონაბაში, რომელიც არ გამოუცდია არც ერთ წარმართ სარწმუნოებასაც-კი ქრისტიანულს სახელმწიფოში, გადაგვარება, დენაიციონალიზაცია — ამ რას ნატრულობდნენ, რას მისცდნენ ჩვენი ეკლესიის უცხო მართველნი ასის წლის განმავლობაში. დროა თავიდან ავიშორით ეს სენი, დროა კლერიკალის ბიუროკრატის ბრქუალებიდან განვთავისუფლდეთ, მოვირჩინოთ წყულებანი და მოვიპოვოთ სრული სიმართლე და თავისუფლება სინდისისა. ამისი ერთადერთი უეცარი წამალი გახლავთ, ესრედ წოდებული, ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიისა, რომელსაც ერთხმზე და მხნედ თხოვს მთელი სამღვდლოება აქეთა და იქეთა საქართველოსი.

მართალია, ჩრდილოეთი პოლიტიკანები ეწინააღმდეგებიან ამ წადილის განხორციელებას და სცდილობენ ჩვენი ეკლესია დასტოვონ აწინდელს მონურ მდგომარეობაში, მაგრამ თვით კეთილგონიერნი და სამართლიანი რუსები უწყვეტ მომხრეობას ავტოკეფალიას, და მას უსათუოდ ველირსებით დღეს თუ ხვალ, თუ ქართველი საზოგადოება უფრო მეტს უფარს გამოიჩინს, მეტს დახმარებას გაუწევს სამღვდლოებას და მეტს სიკეთევეს და ძალას მიისცემს თავის მოთხოვნას. თუ სომეხთა სამღვდლოება სახეებით ეწია თავის გულის წადილს, დაუწყონებლივ უკან დაიბრუნა წართმეული მამულები და ეროვნული სამრევლო სკოლები, ეს მოხდა იმის გამო, რომ მას მთელმა სომხობამ მხარი დაუჭირა და მხურვალე მონაწილეობა მიიღო მის ბრძოლაში... ქართველი საზოგადოებაც ასე უნდა მოიქცეს და განაძლიეროს თავისი მოქმედება ნაციონალურ ეკლესიის აღსადგენად... თუცა ჩვენი საზოგადოება სიათამებს ნაციონალურ საქმეებში გადაჩვეულია და შეუჩინებელიც, მაგრამ სარწმუნოების სფეროში მას უშიშრად შეუძლიან გამოიჩინოს თვით უცილურესი

გამბედაობა, რადგანაც სინდისის და სარწმუნოების თავისუფლება აღიარებულ და გამოცხადებულ იქნა თვით საიმპერატორო ტახტიდან.*)

ქართულმა პრესამ ამ კითხვის განსარტყლად არ უნდა დაივიწყოს, რომ აწინდელი მმართველობა ქართულის ეკლესიისა არ შეიძლება არ იყოს ყველთვის რეაქციის მიმდევარი, მაშინ, როდესაც თვით მდგომარე ქართული ეკლესია, უმეველია, გახდება ნაციონალურ პროგრესის მომხრე, რის იმედსაც გვაძლევს აწინდელი ჩვენი სამღვდლოების მოქმედება, რომელმაც ისეთი სიმპატია დაინახაურა პროგრესიულ რუსულ ეურნალ-გახათებისა და წყვეცრულე რეაქციონერებისა. ამ იმედს აძლიერებს მეტადრესი გარემოება, რომ ჩვენი სამღვდლოების პეტრიკები აყენებენ სასულიერო მოხარდ თაობას განათლების საღსა და პროგრესიულ გზაზე. სამღვდლოება ითხოვს — დახურულ იქმნან თანდათან აწინდელი სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები, რომელნიც აძლევენ ვიწრო კლერიკალურ სწავლასა, და მათ მაგიერ გაიხსნან თანდათან საზოგადო ტიპის სასწავლებლები რვა წლის კურსით, სადაც ბიზი შვილები ეღირსებიან იმავე ხარტო განათლებას, რომელსაც მიიღებენ განახლებულს და გაუკეთებულს ხარტო საშუალო სასწავლებლებში სხვა წოდებათა შვილებშიო. ამ ახალის ტიპის სასწავლებლებში კურსს დამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ სრული საგინაზიო უფლებანი. იმ კურსს დამთავრებულთათვის, ვისაც ექნება მოწოდება სულიერის მოძღვრობისადმი, ამ სასწავლებლთან არსდება ორი საღვთისმეტყველო კლასი, სადაც ყოველ საგნის სწავლება უნდა აუცილებლად სწარმოებდეს ქართულს ენაზე.

თუ სომხის სამღვდლოება ადგია ვიწრო კლერიკალურს გზას, ეს უმთავრესად წარმოსდგება იმისგან, რომ იგი განათლებას იღებს კლერიკალურს სასწავლებლებში. ქართველს სამღვდლოებას, როგორც ეტყობა, ეს გარემოება კარვად გაუთუალისწინებია და რადიკალური ღონისძიება მიუსაზრებია ვიწრო კლერიკალურის მიმართულების წინააღმდეგ. (*ივერ. *)

*) რადგანა მოიკლა და დატუსადა სამეხისა საეკლესიო მამულების ჩამართმევის დროს ჩვენი ქართველობა კი ხელს უწყობდა საეკლესიო მამულების ჩამართმევის...

მეტს ახალს უფლებას ვაპრბამთ.

ჩვენ, ქართველებს, ხშირად გვაფიქვდება ის ელემენტარული კემპარტიება, რომ დიდი მდინარე პატარა ფშანებისაგან დგება, დიდი თანაზაპატარა თანებისაგან, საზოგადო თავისუფლება—მრავალი კერძო თავისუფლებისაგან.

ეს დაფიქვება არის იმის მიზეზი, რომ ხშირად აზულად ვიგდებთ, ტუქს აუკრავთ ზოლემ იმისთანა კერძო უფლებას, რომლის მოპოებისათვის ჩვენი კუკიანი და მხენ მუზობლები, რეალისტი სომეხნი, არ იშურებენ არც დროს, არც შრომას და არც ხარჯსა.

აი, ამისი უახლოესი მაგალითი.

მკითხველს მოგხსენება, რომ რუსეთის სახელმწიფო რჩევა (Государственный совет), დღემდინ მტკნარი ბნუროკრატული დაწესებულება, ახალი მანიფესტის ძალით ხდემ დაჩეულთა კრებულად ნახევრობით მაინცა, და იმისთანავე მნიშვნელობა და უფლება ექმნება, როგორც აქვს ზემო პალატას ვეროპასა და ამერიკაში. ერთს ნახევარს ამ საბჭოს წევრებისას ნიშნავს ზელმწიფე, მეორე ნახევარს ირჩევენ სხვადასხვა საარჩევნო დაწესებულებანი-საგუბერნიო სავრობო კრებები, საქალაქო საბჭოე-ბი, სამეცნიერო აკადემია, უნივერსიტეტები და სხვანი.

სხვათა შორის, სომეხთა ეკკლესიასაც მიუღია უფლება გაგზავნოს ზემო პალატაში 2 დეპუტატი: ერთი სომეხ გრიგორიანებისა და მეორე სომეხ-კათოლიკეთა წარმომადგენელი. ყველა სხვა ეკკლესიებსაც ეძლევათ ეს უფლება.

ჭაჭანება, ხსენება არსად არ არის მხოლოდ ერთს ეკკლესიისა.

რომლისა, სახელდობრ? რასაკერძოვლია, ჩვენისავე საქართველოს ეკკლესიისა.

რა მიზეზით? ეს ყველამ ვიცით. საქართველოს ეკკლესია, აგრე ერთი საუკუნეა, გახადეს რუსეთის ეკკლესიის დოვესკად, ზედ-მეტად, აბრად და დოვესკას კი აბა ვინ მაინიკებს რაიმე უფლებას. ვინ ჩააგდებს მას ანგარიშიში? ვის რად ეპიტანვება იგი?

მართალია, იმ დაწესებულებას, რომლის დოვესკას შეადგენს დღეს, ჩვენი ეკკლესია, ეყოლება

განსაზღვრული რიცხვი წარმომადგენლებისა სახელმწიფო რჩევაში, ე. ი. სინოდის მიერ დანიშნული ექვსი დეპუტატი მიიღებს მონაწილეობას საბჭოს მოქმედებაში; მაგრამ ჩვენ რა?

სინოდი ჩვენი ქვეყნიდან ან არავის არ დანიშნავს, ან თუ დანიშნავს, იმისთანა საუქმებს, რომელნიც არიან მამა გოროდცვი, ბ-ნი ოლოფეი და ქართველი ლალიაშვილი—მონაძე. ამისთანა სულიერნი კი სულ იმის ცდაში იქნებიან, რომ ხელი შეუშალონ ქართველ დეპუტატებს, რომელნიც გაგზავნილნი იქნებიან პეტერბურგში საქართველოს ორივე გუბერნიიდან.

რა უნდა ვქნათ, რომ აქაც მონებდ არ გამოვიდეთ? იმ მონებდა, რომელნიც მოკლებულნი არიან საერთო უფლებასა?

დაუყოვნებლივ ქართველმა სამღვდლოებამ უნდა მოითხოვოს უმაღლეს მთავრობისაგან, რომ ქართულს ეკკლესიასაც მიენიჭოს უფლება არჩეული დეპუტატების გაგზავნისა სახელმწიფო რჩევაში და ამას ბანი უნდა მისცეს თავდალანურობამ და სამწყსომ.

მხოლოდ რამდენი დეპუტატი უნდა ამოირჩიოს ქართველმა სამღვდლოებამ?

ამის სამართლიანი გადაწყვეტა ძლიერ ადვილია. სომეხები, რომელთა რიცხვი კავკასიაში მილიონს უდრის, ირჩევს, როგორც ზემოთ აღენიშნეთ ორს დეპუტატს. მაშასადამე, თვითო დეპუტატო მოდის ნახევარ მილიონ მრევლზე. ქრისტიანი ქართველობა, სულ მეტირედ რომ ვინაგარიშთა, მილიონ ნახევარს შეადგენს. მაშასადამე, სრული სამართალი მოითხოვს, რომ ქართულს ეკკლესიას ერგოს სამი დეპუტატი. ამთავან ორი უნდა ამოირჩიოს დსაველეთის საქართველოს სამღვდლოებამ, სადაც მილიონი ქართველი სტოპერობს და ერთიც აღმოხაველეთის საქართველოს სამღვდლოებამ, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი ქრისტიანეა.

ეს სამი დეპუტატი მხარს მისცემს ჩვენებურს საერთო დეპუტატებს და დაეხმარება პროგრესიულ რეფორმების შემოღებას საზოგადოდ რუსეთში და კერძოდ ჩვენში.

ამ დანახრებაში არავის ეჭვი არ უნდა ჰქონდეს რადგანაც ჩვენი სამღვდლოება იმ გზას დაადგავს რომ უსათუოდ გაგზავნის დეპუტატებად იმისთანაებს,

რომელიც მომხრენი არიან გამანათნისუფლებელ მიმართულებიან.

შხოლოდ, სამღვდლოებამ უნდა მეტად დააჩქაროს თავისი მოთხოვნა, რადგანაც ახალი წესდებულება სახელმწიფო რჩევისა, რომელიც ჯერ როექტის სახით არსებობს, ამ დღეებში დამტკიცდება და მაშინ გაანელდება აღნიშნული უფლების მოპოვება. და თუ უარი მიიღო სამღვდლოებამ, მაინც უნდა ამოირჩიოს დემუტატები და გაგზავნოს იგინი პეტერბურგში, სადაც თვითონვე ეცდებიან დააკანონებინონ თავისი უფლება.

ამის ისიც უნდა დაუმატო, რომ ქართველ კათოლიკებსაც არ ვსლდევათ უფლება დემუტატის გაგზავნისა სახელმწიფო რჩევაში. მათაც უნდა დაუყონებლივ მოითხოვონ ეს უფლება და იქამდინ არ დასცხრნენ, ვიდრე არ გათანაწორდებიან ამ სფეროშიაც სომეხ-კათოლიკებთან. (ივ.)

იაკობ გოგებაშვილი.

ავტორეზალია

(წერილი პეტერბურგადან)

პეტერბურგის მიტროპოლიტიმ ანტონიმ მიანდო პეტერბურგის აკადემიის საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის პროფესორს ი. ი. სოკოლოვს შეადგინოს დასაბუთებული მოხსენება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე მომავალ საეკლესიო კრებისათვის. ეს მოხსენება სოკოლოვმა უნდა დაასრულოს და წარუდგინოს მიტროპოლიტს პირველ დეკემბერს. სოკოლოვი გულმოდგინედ მუშაობს ამ საკითხზე და არჩევს მასალებს ყველა ენაზე. ხოლო ჭრათელ ენიდან-მასალებს ჩვენ ერთგვანნით და ვაწარდებთ. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც იგი შეუდგა ამ საკითხის შესწავლას, მაგრამ ფლავე დარწმუნდა, რომ ჩვენი ეკლესია ტყუილია უმიზეზოდ არის მოკლებული თავის უფლებას, რომელი უფლებაც მას ხელ-ახლა უნდა დაუბრუნდეს. პეტერბურგში საზოგადოდ ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ჩვენ ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს უკანონოდ ჩამართმეული უფლება. ჩვენის აზრით, ესლა ჩვენმა სამღვდლოებამ უნდა შეიმუშაოს საკითხი ხარჯის შესახებ. აქ, როგორც ხმა დადის, მიზეზად უარის ყოფის ავტოკეფალიაზე ასახლებენ ხარჯს. ამბო-

გენ, რომ საქართველოს ეკლესიის შენახვა წელიწადში 400,000 მანეთად გეოჯდება და თუ ავტოკეფალია მივანიქეთ, იმ შემთხვევაში ხარჯს ჩვენ აღარ მივსცემთო. მაგრამ ჩვენის აზრით, ის საეკლესიო მამულები, მომელიც მთავრობამ ჩამართვა ეკლესიას, უნდა დაუბრუნდეს. თუნდ რომ არც ეყოს, თავისუფალი მინც იქნება ჩვენი ეკლესია იმ ბორკილებისაგან, რომლებითაც იგი შეზღუდულია“.

სრულებით უსაფუძვლოა ის შიში, რომელიც გამოცხადებულია „სწაობის ფურ.“ ზემომოყვანილ შენიშვნაში იმის შესახებ, რომ ფული არ გვექნება. ეკლესიების და სამღვდლოების შესახებაც. რომელი ხაზინა გეძალდება ჩვენ ფულებს, როცა ჩვენვე ვიყავით ჩვენი ქვეყნის გამგენი? თუ ჩვენი საეკლესიო მამულები ძველ დროში შეშენიერად აკმაყოფილებდნენ მონასტრებს, ეკლესიებს და სამღვდლოებს, ნუ-თუ დღეს აღარ იკმარებს ხარჯად, როდესაც შემოსავალი ამ მამულებიდან ერთი ოთხად მომეტებულია? საეკლესიო მამულები დღეს ძლფეს-ხაზინას ორასი ათას მანეთს და რიგინად რომ წაიყვანოს კაცმა მათი მართვა სამასი ათას მანეთზე მეტს მოგვეცეს.

ივეგის მიტროპოლიტს ფეოგნოსტს ერთი მილიონი მანეთი ფული დარჩა, რადგან დიდი შესავალი ჰქონდა. მოსკოვის მიტროპოლიტის პირველ ვიკარ-ვისკოპოსს ჯამაგირს გარდა ოცი ათასი მანეთი შესავალი აქვს საეკლესიო მამულებიდან. თუ ჩვენი ქათალიკოსი და ევისკოპოსები კურობატკინის ჯამაგირს მოითხოვენ, რასაკვირველია, არც ეყოფა არც საეკლესიო მამულების შემოსავლი და არც ხაზინისა. ჩვენ ძველ ევისკოპოსებს თუ დიდრ ჯამაგირები არ ჰქონდათ, რით ჩამოუარდათ დენ ეხლანდელ ევისკოპოსებს? საეკლესიო მამული აძლევდა მათ შეშას, სიმიდს, პურს, ღვინოს და სხვა საჭირო ნივთებს. წელიწადში მკორე ჯამაგირს კმაროდნენ და შეშენიერად სცხოვრომდნენ. დღეს-კი ევისკოპოსებს ოთხი ათასი მანეთი აქვს დანარჩენი და შემოსავლიც ზოგიერთ ადგილას ამაზე მეტს შეადგენს. ნუ თუ ევისკოპოსისათვის საჭიროა ამდენი ჯამაგირი სარჩენად. რუსეთში ზოგიერთ მიტროპოლიტებს და ევისკოპოსებს შესამოსელი 1000—3000 მანეთად დის. ვის რომ სარგებლობას მოუტანს ამისთანა ძვირფასი შესა-

ხელი? მიტროპოლიტმა იონანიკემ დიდი სიმდიდრე დაუტოვა თავის შემღებულ ნათესავებს, მაგრამ ამით სარწმუნოებისათვის არავითარი სარგებლობა მას არ მოუტანია. ჩვენთვის დიდად სასურველია კათალიკოსიც, ეპისკოპოსებიც და მღვდლებიც ზომიერად, ქრისტეს მცნებისამებრ მკხოვრებნი და არა დიდი ჯამაგირების მიღებნი ჭეჭირფასი პორფირით და ბისონით მოსილნი... საქირთა არა გარეგანი ბრწყინვალეობა, არამედ შინაგანი...

რუსეთი თუ დღეს საქართველოში ოთხასი ათას მანეთს ხარჯავს სამღვდლოებისთვის ალბად აქაური ხაზინიდან და ეს ხაზინა აქვე იქნება, იმისათვის, რომ ჩვენ საქართველოს გამოყოფას კი არ ვთხოვილობთ რუსეთიდან, არამედ ავტონომიურ მმართველობას, კათალიკოსის დანიშვნას, რომელსაც მოკლებული ვართ წინააღმდეგ მოციქულების კანონებისა.

დქ. დ. ღამასაძე.

ღვის, იმ ნიკანდრს, რომელიც ამის შემდეგ სინოდმა მღვდელ-მთავრობით დააჯილდოვა.

მოსხენებს ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე სამღვდლოებაზე, რომელსაც ერთხმად დაუდგენია: ქართველ სამღვდლოებას გამოეცხადოს სრული თანაგრძობა და სოლიდარობა, ხოლო სინოდსა და მის მიერ დადგენილ ექსარხოსებს, სემინარიის ნარეკტორალს ნიკანდრს, ეოსტორგოვსა და სხვებს—ზიზილი და აღშფოთებაო. (ც. ფ.)

ახალი წყალობა.

სინოდს ჩვენზე, ქართველებზე ახალი წყალობა მოუღოა.

პეტერბურგიდან საქუთარმა კორესპონდენტმა „ნოვის ფურცლისამ“ ტელეგრაფით აუწყა ამ დღეებში ქართველს საზოგადოებას, სინოდმა გადაწყვიტა რეფორმა ქართულის ეკლესიის მართვა-გამეფობისათ.

რამი მდგომარეობს ეს რეფორმა?

არქიეპისკოპოსის სახელის მაგივრად მმართველს ქართულის ეკლესიისას ერქმევა უფრო დიდი სახელი—მიტროპოლიტისა.

ამ მიტროპოლიტს ეყოლება ერთი ოთხად უფრო დიდი სამწყსო, რადგანაც მის მფლობელობაში იქნება მთელი ჩრდილო კავკასიაცა.

გაუქმდება პატარა ტიტული საქართველოს ექსარხოსისა და დაკანონდება უფრო დიდი სახელიწოდება—კავკასიის მიტროპოლიტისა.

ამ მიტროპოლიტს ექმნება ავტონომიური უფლება, ქვე იგი, შინაურ მართვაში იგი დამოუკიდებელი იქმნება სინოდისაგან, რის გამოც მიტროპოლიტზე საჩივარიც-კი არ შეიძლება, თუ იგი უფრო უარესი მღვდელი იქნება ქართველობისა, ვიდრე იყვნენ ექსარხოსნი.

ერთი სიტყვით: საესებით უქმდება საქართველოს ექსარხოსობა და სამაგიეროდ არსდება მიტროპოლია კავკასიისა. რეფორმაც სწორედ ასეთი უნდა!

მეთხველი არ უნდა მოსტყუეღვდეს სიტყვით: ავტონომია.

ავტონომია ორ-გვარია: ბიუროკრატიული, როდესაც ავტონომიური მეთაური რომელიმე ოლ-

რას ჰპოვებენ პატარაზრგბი

ჩვენს სამღვდლოებაზე?

ნამდვილ წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ პეტერბურგში წასულ ოქტომბრის 23-ს, ცნობილის მღვდლის გრ. პეტროვის თხოვნით, მამა იოსებ ჩიჯავაძეს «32 მღვდლის კავშირის» სხდომაზე ვრცელი დასაბუთებული მოხსენება წუთკითხავს ჩვენს სამღვდლოების თანამედროვე მოძრაობის შესახებ. ამ მოხსენებაში მ. ჩიჯავაძეს დაუხატავს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდეგ დღევანდლამდე, მოკლეთ და ნათლად დაუხუროთებია რუსის ექსარხოსების „მოღვაწეობა“ ჩვენს უკრთხეულ ქვეყანაში, საეკლესიო მამულების ჩამორთმევა (1852 წელს), ადგილობრივ მღვდელმთავრების უფლებათა შეზღუდვა, სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების გაუკუღმართება, მათი რექტორ-ზედამხედველების საზიზილარი პოლიტიკა, ეოსტორგოვის მიერ შექმნილი საეკლესიო სკოლები და მათი მდგომარეობა, 31 მისის ინკოდენტი, რომელშიც ყველაზედ მეტი რღეაწილი“ ცნობილ არხიმანდრიტს ნიკანდრს მიუძ-

ქია ინიშნება თავის თანამდებობაზე უმაღლესის მთავრობის მიერ, და დემოკრატიული, როცა მას იჩვენებს საზოგადოება, ხალხი, სამწყსო.

პირველი ავტონომია არსებობდა ძველს დესპოტიურს სპარსეთში და ავტონომიურს მმართველებს სხვა და სხვა კუთხეებისას ერქვათ სატრაპები, რომელნიც უფრო უარესნი დესპოტი იყვნენ, ვიდრე მათნი დამნიშნენნი—სპარსეთის მეფეები. ახლაც არსებობს ოსმალეთში ამგვარი ავტონომია: ყოველი ფაშა ავტონომიური გამგე არის ფაშალიქისა და უარესი მტარვალი, ვიდრე მისი დამნიშნელი.

ეს ასეც უნდა იყოს და სხვაფრე ვერ იქნება. ზიუროკრატი, დიდი ბოლოდა იგი, თუ პატარა, ყოველთვის ირჩევს თავისზე უარესსა, რომ ქვეყნის თვალში არამც თუ არ დაიჩრდილოს, არამედ უკეთესს საუნჯედ გამოჩნდეს...

ასეთია პსიხოლოგია ბიუროკრატიისა, რის გამოც ყოველი დაბალი საფეხური უარესია მაღალზე და კიბე თავდება აუცილებელიც ხულიგანებით, როგორც ბიუროკრატიის სამიჩკველით.

სრულიად სხვა დემოკრატიული ავტონომია. ერის, საზოგადოების, სამწყსოს სიკეთე მოითხოვს, რომ გამგელ, მმართველად იყვნენ საუკეთესო მამულიშვილი და ამისთვის-კი არ ეგანია საჭირო.

რამდენადაც ბიუროკრატიულს წეს-წყობილებაში უარესების დანიშნვა აუცილებელია, იმდენად დემოკრატიულს რეჟიმში საუკეთესოების არჩევა უზრუნველყოფილია.

მაგრამ მეითხველმა შეიძლება იფიქროს: იქნება კავკასიის მიტროპოლიტის არჩევის უფლება მიენიჭოს სამწყსოსაო. ეს ძლიერ ძნელი მოსალოდნელია, რადგანაც სინოდი ახლაც მტკიცედ ადგია ბიუროკრატიულს გზასა. მაგრამ ეს თქვათ, რომ ეს უფლება მართლა განხორციელდეს, დაჯანონდეს, რას მოიგებს ქართველთა ეკლესია? ვერაფერსა, რადგან ნამდვილად მიტროპოლიტის არჩევა ჩრდილო კავკასიას ერგება: იქორჯერ მეთკმობერებია, ვიდრე საქართველოში. ამნაირად კავკასიის მიტროპოლია ნიშნავს ქართული ეკლესიის გაუქმებას, ამოფხვრას და ქართველთა მრევლების მიწერას ჩრდილო კავკასიაზე.

სად არის ხსნა? საქართველოს ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს დამოუკიდებლობა და გამგე არქეული ქაჩუყელის სამღვდლოების და სამწყსოს წარმომადგენლების მიერ და ეს ყოველად კანონიერი და ყოველად სამართლიანი სურვილი და მოთხოვნა არ შეიძლება არ დაქმნაყოფილდეს ახლავე, დაუგვიანებელივ.

დგენილების მიერ და ეს ყოველად კანონიერი და ყოველად სამართლიანი სურვილი და მოთხოვნა არ შეიძლება არ დაქმნაყოფილდეს ახლავე, დაუგვიანებელივ.

მხოლოდ სამღვდლოებას იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ქართულს ეკლესიას თავისუფლებას დაუბრუნებენ ზევიდგან. ვინც მონობა დაუმყარა, მას მხოლოდ შეუძლიან შესცვალოს ფორმა მონობისა და თავისუფლებას-კი არადროს არ მიანიჭებს. ეს თავისუფლება უნდა თვითონ მან მოიხვეჭოს, თვითონ მან უნდა აღადგინოს უკანონოდ და უნამუსოდ გაუქმებული ავტოკეფალია, რასაკვირველია, სამწყსოს დახმარებით. (უ. ფ.)

მოსკოვის კონსტიტუციონარულ დემოკრატიულ პარტიის კამბისაბან შემოუშავებული პროგრამა სახალაფიფო წყობილებიან.

1) კონსტიტუციური წყობილება რუსეთის სახელმწიფოსი უნდა გამოხატული იყოს ძირითად კანონით.

2) ხალხის წარმომადგენლები უნდა არჩეულ იქნენ საერთო, თანასწორის, პირდაპირის და დახურულის კენკის ყრით, სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესის განურჩევლად. პარტია ნებას აძლევს უმცირესობას ცალკე აზრი იქონიოს ადელათა ამორჩევით უფლების შესახებ. პარტიის წევრებს შეუძლიანთ სხვადასხვა აზრი იქონიონ ხალხის წარმომადგენლების ორგანიზაციის შესახებ, ე. ი. ერთ პალატიან, ან ორ პალატიან სისტემის შესახებ, რომლისგანაც მორავ პალატა შესდგება ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლობისგან.

3) ხალხის წარმომადგენლებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საკანონმდებლო უფლების შესრულებაში (სახელმწიფოს შესავალ-გასავალის აღრიცხვაში), და კანტრალი უნდა გაუწიონ მაღალ და დაბალ აღმინისტრაციას, რომ მათი მოქმედება კანონიერი იყოს.


4) არც ერთ ბრძანებას, განკარგულებას, დადგენილებას, რომელიც დაფუძნებული არ არის ხალხის წარმომადგენლების გარდაწყვეტილებაზე,

არავითარი ძალა არ უნდა ჰქონდეს განუზრჩველად იმისა, ვისი მხრიდან არის ესეთი განკარგულება.

5) სახელმწიფო როსპისი, რომელშიაც შეტანილი უნდა იყოს ყველა შემოსავალი და გასავალი სახელმწიფოსი, დადგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი წლით. არავითარი გადასახადი, ბაჟები და სხვა. სახელმწიფოს სასარგებლოდ და არც სახელმწიფო სესხი არ უნდა იყოს დადგენილი, თუ არა კანონმდებლობის წესით.

6) ხალხის წარმომადგენლების კრების წევრებს აქვთ კანონმდებლობით ინიციატივის უფლება.

7) მინისტრები პასუხისმგებლები არიან ხალხის წარმომადგენლობის წინაშე, რომლის წევრებსაც შეკითხვის და ინტერპელაციის უფლება უნდა ჰქონდეთ.



მოძალადის ძირითადი უფლებანი

კრებამ პირველად შეიმუშავა მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი. ის პროგრამა, რომელიც ბიურომ კრებაზე წარადგინა, მილიანად მიიღეს, კამათი მხოლოდ იმ მუხლმა გამოიწვია, სადაც ებრაელები და პოლონელები პირველ პლანზე არიან დასახელებულნი. ზოგიერთა ორატორის აზრით, საჭიროა საერთოდ ითქვას, რომ ყველა ეროვნება ერთი და იმავე უფლებით უნდა იყოს აღქურვდი. რა საჭიროა ასეთი ფორმულა: პოლონელები, ებრაელები და ყველა სხვა ეროვნება? განა სომხები და თათრები, მაგალითად, უკეთეს მდგომარეობაში არიანო? კოკოშინი, კატლიარცესკი, მილიუკოვი და სხვა იმ აზრს იცავენ, რომ ებრაელები მეტის-მეტად დაწარულნი არიან; ისეთი კანონები, როგორც აკრძალვა სოფელში ცხოვრებისა, აკრძალვა სხვა ქალაქებში გადასახლებისა, აკრძალვა მამულის ყიდვისა და სხვა, ასეთი უმსავსესი კანონები ჩვენ იძულებულ ვგზნის ებრაელებს პირველი ყურადღება მიუქციათ. ისევე ითქმის პოლონელებზედაც. კრებამ ბიუროს პროექტი მიიღო.

მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი.

1) რუსეთის ყველა მოქალაქენი, სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნების განუზრჩველად, თანას-

წორნი არიან კანონის წინაშე. უნდა მოსპობილ იქმნას პოლონელები, ებრაელების და ყველა სხვა ეროვნების პირადისა და ქონებრივ უფლებათა შეზღუდვა.

2) უნდა უზრუნველ-ყოფილ იქმნას ყოველის მოქალაქისთვის სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლება. ყველას თავისუფლად და დაუსჯელად შეუძლია სარწმუნოების გამოცვლა. ამისთვის უნდა აკრძალული იყოს ყოველნაირი დევნა და სასჯელი. ყველას შეეძლოს თავისუფლად შეასრულოს ღმის-მსახურება, თუ იგი სისხლის სამართლის კანონებს არ ეწინააღმდეგება.

მართლ-მადიდებელი და სხვა ეკლესია უნდა სახელმწიფო ოპეკიან განთავისუფლებულ იქმნას.

3) ყველას ნება აქვს გამოსთქვას ზეპირად ან წერით თავისი აზრი, აგრეთვე გაავრცელოს იგი პრესისა, ან სხვა საშუალებით; როგორც საერთო, ისე სპეციალური ცენზურა უნდა მოსპობილ იქმნას და თავის დღეში აღარ აღადგინონ იგი იმ დანაშაულობისთვის, რომელიც ჩადენილი იქნება სიტყვიერად, ან წერით. დანაშაუვ მხოლოდ სასამართლოს წინაშე იქნება პასუხის მგებელი.

4) რუსეთის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს გამართოს სახალხო კრებები, როგორც დაბაზში, ისე ცის ქვეშ; ამ კრებაზე მას ნება აქვს გააჩიროს ყველანაირი კითხვები.

5) რუსეთის ყველა მოქალაქეებს უფლება აქვთ ნება დაუთხოვილად დააარსონ კავშირები და საზოგადოებანი.

6) პეტციის უფლება უნდა ჰქონდეს, როგორც კერძო კაცს, ისევე ყველანაირ გჯუფს, კავშირს, საზოგადოებას და სხვასა.

7) პიროვნება და სახლი ყველა მოქალაქეს ხელშეუხებელი უნდა იქმნას. კერძო სახლში შესვლა და მისი გაზრკვა, გახსნა კერძო წერილების შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელიც კანონებში იქნება აღნიშნული, და ეს უნდა მოხდეს აუცილებლად სასამართლოს დადგენილებით. ყოველი დატუსაღებული პირი უნდა ან მიცემულ იქმნას სამართალში, ან განთავისუფლებული: ქალაქებში— 24 საათის განმავლობაში დატუსაღების შემდეგ, სოფლებში კი არა უზვიანეს 3 დღისა. თუ ვინმე დატუსაღებული იქნა უსაფუძვლოდ, ან უფრო დიდ ხანს იყო დატუსაღებული, ვიდრე კანონი ამბობს,

მაშინ მის აქვს ნება სახელმწიფოსაგან. მოითხოვოს ხარალის ანაზღაურება.

8) არაიენ არ შეიძლება დაისაჯოს, ან დატუ-საღებულ იქმნას, [თუ არა სასამართლოს გადაწყვე-ტილებით:

9) ყველ მოქალაქეს უფლება აქვს თავისუფ-ლად გამოიკვლოს სასოკრებელი ადგილი და წაიღოს საზღვარ გარედ. პასპორტული სისტემა უნდა მოისპოს.

10) ყველა ზემოხსენებული ძირითადი უფლე-ბანი მოქალაქეებისა უნდა შეტანილ იქმნას რუსეთის იმპერიის ძირითად კანონებში, და უზრუნველ ყო-ფილ იქმნას სასამართლოსაგან (Судебная защита).

11) რუსეთის იმპერიის ძირითადმა კანონმა უნდა უზრუნველ-ჰყოყვეს ყველა ეროვნებისათვის, სრულის მოქალაქობრივ და პოლიტიკურ თანასწო-რობის გარდა, უფლება სრულის კულტურულ თეთ-ჯამორკვევისა, როგორც — თავისუფლად ხმარება სა-ზოგადო ცხოვრებაში სხვადასხვა ენისა; დაარსება და შენახვა სასწავლებლებისა და სხვადასხვა კრებე-ბისა, კავშირებისა, დაწესებულებისა, რომელთაც მიზნად აქვთ თითოეულ ეროვნების ენის, ლიტერა-ტურისა და კულტურის შენახვა და განვითარება.

12) რუსული ენა უნდა დარჩეს — ცენტრალურ დაწესებულებათა, არმიის და ფლოტის ენად. საერ-თო კანონებმა სახელმწიფო ენისთან ერთად უნდა მოაწყოს ხმარება ადგილობრივ ენისა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში, და სასწავლებლებში. ყველა. თვით მმართველობრივ ორგანომ ეს კითხვა უნდა გადასწყვიტოს ამ საერთო კანონის მიხედვით. ყოველ ადგილობრივ მცხოვრებთათვის უნდა უზ-რუნველ-ყოფილ იქმნას პირველ-დაწყებითი და შემ-დეგ სწავლაც თვის საშუალო ენაზე. („ივერ.“)

ზომო სენაწითი.

VI.)

ხალხის ზენ-ჩვეულებანი,
„მასორაჲ“.

ძველად თურმე ზემო-სენაწის შემოცისა თათ-რის ჯარი და გზადგაზა ჩვეულებრივად ყველაფერს მუსრს ავლებდა. თურმე; ყველას არბევდა და აწიო-

კებდა, სწავდა და დაგავდა. ამრიგად განვლო. თუ-რმე ამ ჯარმა მთელი ზემო სენაწითი, მივიდა კალის საზოგადოებაში, რომელიც მდებარეობს ლატვი-მუშურის მთების ძირში და დაბანადა „მიჯერისის“ მინდორზედ. კალა და. უშუქლის სამამასახლისოს მცხოვრებნი შეკრებილან და რომ სხვა საზოგადო-ებათა ბელი არ სწეოდათ, ჩამოუგდათ თათრებთან ზაეი; შეკრების აღსანიშნავად გაუმართათ ნაღიმი, რომელზედაც მოუწვევიათ თათრის ჯარი. დაუკლავთ მრავალი ძროხა-ხარი და სხვა საკლავები, სხვათა შორის ღორებიც, რომლებიც გაეცაყავებიათ და შემწვარ (სტებრებათ შეებარებიათ თათრებისათვის. ნაღიმის ღროს სუფრაზედ თათრები და სენაწი ცალ-ცალკე არ დამსადარან, არამედ თითო სენას თითო თათარი მოესვა გვერდში. არაყით რომ შემთვრალან კარგათ, სენაწის უფროსებს დეცხანა: „ესლა კი წითელი ღვინო ჩამოატარეთო“. თურმე სენაწის უფროსებს გამოეცხადებიათ სენაწისათვის, როგორც კი წითელი ღვინოს ჩამოატარება ეახსენ-ნოთ, მაშინვე ყველა თქვენგანმა თქვენ-თქვენ გვერ-დში მგდომი თათარი მოჰქალითო. ამიტომ, რო-გორც კი ზემო სიტყვები გაიგონეს, მაშინვე იშო-შვლეს თურმე სენაწიმა ხანჯლები და მრძანებისა-მებრ თავთავიანთ ამბანავ თათარს ჩასცეს შეუკრლში და მთელი ჯარი ამოსწყვიტეს. დახოცილთა იმდენი სისხლი დამდგარიყო, რომ საღლის დანარჩენი სა-ნოვავე მთლად წავლო. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ორ ზემომოსხენებულ კალა და უშუქლის საზოგა-დოებებში მთლიან გაწყვეტილიყვნენ თურმე ძრ-უხები და ეს შემთხვევა მიუღიათ სენაწეს როგორც რისხვა, მოვლინებული ღვთისაგან თათარს ჯარის ღალატობით გაწყვეტისათვის. ამიტომ შეკრებილი-ყენენ ორივე საზოგადოება ერთად, შეუკრლზედ მსხვერპლთა სამ-სამი ძროხა და აღუთქვამნ ღოთისა-თვის, რომ იმ ძროხის ყველი და რძე, რომელიც ბნოს მოიგებს ახალწლის და ფერისკვლევას-შუა, არც გაყიდონ და არც გაუყიდლათ გასცენ. ოჯახ-შიაც არ შეუძლიათ ამგვარ ძროხების ყველი ისე ქაიონ, თუ არ მოხარშული და ან ზაქაურათ გა-კეთებული. რძეს ვერ დაღვევენ გაღმოდქლებლად-სახლს გარედ გატანა როგორც რძის, ისე ყველის და ზაქაპურისაც ხომ მეტის-მეტად აღკრძალულია. სავსლოდ არ შეუძლიათ ამ ზემომოსხენებულ ძრო-ხების ყველის ან ამისგან გაკეთებული ზაქაპურის

*) იხ. „მწეჴისი“ № 19, 1906 წ.

წალბა. სენებს ჰგონიათ, რომ თუ გაღუბნიყო ამ ჩვეულებას და აღთქმული არ შეეხარულეთ, ღმერთი გაგვირისხდება და ხ.ლ.ახლე გაგვიწყვეტს ძროხებს. სო. მაგალითად მოჰყავთ ერთი შემთხვევა, რომელსაც მათში უფრო განუზტკიცებია ეს რწმენა. ერთხელ ერთ კალელ კაცს ესტუმრა თურმე მულახელი იოსელიანი და როდესაც სადილზედ სხვათა შორის ხაჭაპურიც მიართვეს, მან ჩუმით ხაჭაპურიდან გამოიღო ჩართული ყველი, დაამრგვალა სხილის ოდნავ, დამალა საქილავში და დაბრუნებისას გამოსაცდელად მდ. ენგურში გადადგო. იმ დღესვე, იმ ოჯახის პატრონს, რომელთანაც იოსელიანი იყო სტუმრად, შრი ძროხა გაღუვარდა თურმე კლდიდან და მოუკვდა. გაიკითხ-გამოიკითხეს ამის თაობაზედ თურმე ბოლოს ჭყითონ იოსელიანს ეთქვა გამოსაცდელად ასე და ასე მოვიქცეთო. მაშინ სვაინების დარწმუნებულებიყენენ, რომ იოსელიანის მიერ ხაჭაპურის ყველის წყალში გადადებამ დაუხოცა იოსელიანის მასპინძელს ძროხებში და ამიდან ის დასკვნა გამოეყვანათ, რომ უდიერად მოქცევა ამ ჩვეულებისადმი და აღთქმულის არ აღსრულება იწვევს ღვთის რისხვასო, რის გამო უფრო სასტიკად ასრულდებენ ცხლა მას. შიშით რომ კვდებოდით ამ დროს განმავლობაში ე. ი. ახალწლ და ფერის ცვლიებას-შუა ვერც ყველს, ვერც რძეს და ვერც ხაჭაპურს ვერ იშოვით ამ ზემოდსენებულ კალაუშუქულის საზოგადოებაში, თუნდაც თითო მანეთი აბლიეთ ხითო მათგანში. ეს ჩვეულება არის ძველი და ეძახიან „მახორავს“.

სკერ. მამკლიძე.

ქაჰკასიის ნამსახურების განკარგულება.

რადგანაც ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ოზურგეთის მახრა დაიარა და გამოირკვა საქმის ნაბეჭდი მდგომარეობა გურიაში, რომელიც უკანასკელ ვაფიციის დროიდან ყოველი კუთხიდან მოწყვეტილი იყო ტელეგრაფისა და რკინის გზის მიანდავის ვაფუქების გამო და ამასთან ერთად გამოირკვა ქუთაისის გუბერნიის

დანარჩენ მხარების მდგომარეობაც, შესაძლოდ ესკანი, ამ გუბერნიაში სამხედრო წესები ავსნა და ამასთან ერთად გაეაუქმო დროებითი გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა და გურიაში ვასაგზანდ ჯარებისაგან შემდგარი რაზმი უკანყე გამოვიწვიო, რის გამოც სათანადო განკარგულებანი უკვე მოვახდინე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* მინისტრთა საბჭომ დაასრულა ბეჭდვითი სიტყვის წესდების განხილვა. წინასწარი ცენზურა უქმდება. შემოდის გამოცხადებითი წესრიგი პერიოდულ გამოცემების დასაარსებლად; დატოვებულ იქნა ვალდებულება ცენზორისათვის ორი ცალი გაზეთის წარდგენის შესახებ, მაგრამ ცენზორის ნებავქს აკრძალოს ორგანო, სანამ გამოძიებული იქნება, თუ რაიმე დანაშაულობა ჰქონა შიგ. ვინც ამ წესს დაარღვევს, 100 მან. გადასდება ჯარიმად.

როგორც ხმა დადის, აარსებენ ახალ სამინისტროს ფაქრობისას, რომელსაც შეადგენს ფაქრობისა და მრეწველობის განყოფილებანი ახლანდელ ფინანსთა სამინისტროსი და მთავარი სამმართველო სავაჭრო ნაოსნობისა. ფაქრობის მინისტრად ასახვლებენ გუჯკოეს, რომელიც მთავარ რწმუნებულად იყო ერობებისა შორეულ აღმოსავლეთში.

* 24 ოქტომბერი. უმაღლესი მინისტრი: „წყლობითა ღვთისათა ჩვენ ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი ჭ თვითმყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდისა და სხვათა და სხვათა და სხვათა, თანახმად 1869 წ. 3-13 აპრილის სემის წესდებისა ამითი უმაღლესად ებრძანებთ გაიხსნას ჰელსინგოფში 1905 . 7-20 დეკემბერს საფანგებო სემი შემდეგ საქმეების გადასაწყვეტად: 1. წინადადება სხვა და სხვა-ნაირ ხარჯისაგან გადასახადისთვის საჭირო ფულის გადადებისა და აგრეთვე ახალ რკინის გზებისათვის საჭირო სახელმწიფო სესხის შოვნის შესახებ; 2. შესახებ ახალ ძირითად კანონის პროექტისა ფინლიანიაში შემოსალებ სახალხო არჩევნების საყოველთაო და თანასწორ საარჩევნო უფლებების საფუძვლითა და ადგილობრივ მთავრობის მოხელეების პასუხის გებით

ხალხის წარმომადგენელთა წინაშე; მ. შესახებ პროექტის ძირითად კანონ-დებულებებსა და კერძოდ ბეჭდვისა, კრებისა და კავშირების თავისუფლებისა. ველოდები, რომ ეს ჩვენი მონარქიული ნება სისწორით იქნება შესრულებული. (ნიმალნი.)

ბოძებულია პეტერბოგს 22 ოქტომ. 1905 წ.

* იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა, გააღიღოს რიცხვი სამხედრო დივიზიებისა 20-მდე. შემოიღოს ორი წლის ვადა ჯარში სამსახურისთვის, დააარსოს კავალერიის დივიზია, სპეციალური ცხენის ქარხნები და გააძლიეროს ფლოტი.

* ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა გამოაქვეყნა განცხადება, რომლის ძალით მიტინგების გამართვა შეიძლება დახურულ შენობაში მხოლოდ და აკრძალულია კრებები და მასობრივი მსვლელობა ქუჩებში, რაც იარაღით იქნება მოსაშობილი. ნებადართულ მიტინგებზე არ შეიძლება სიტყვა წარმოითქვას არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ, ჯარის ნაბრძანები აქვს, სამჯერ სთხოვოს ლეკვებილთ დამლა და იარაღი იხმაროს, თუ მიანიჭ არ დიშლებიან.

* მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე გრ. ვიტტო უმაღლესის ბრძანებით დანიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. სემინარიელების უნივერსიტეტში თავისუფლად მსვლელის ნებართვის მისაღებად სინოდის ომბრ-პროკურორმა წარუდგინა საერო განათლების მინისტრს ცნობები, რომ სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიების პროგრამები განხილულ იქნა, და წარედგინა დასამტკიცებლად სინოდს ახლად შემუშავებულ პროექტით, სემინარიის საოვადო განათლების კურსი სრულიად ეთანხმება გიმნაზიისას.

* სენატის მოედანზე გამართულ მუშათა დიმა მიტინგმა, ჰელსინფორსში 24 ოქტომბერს გადასწყვიტა, რომ შესწყდეს გაფიცვა. სოციალ-დემოკრატები დაწყაფილიდნენ მანიფესტით და გადასწყვიტეს, განაგრძონ განხორცილება პარტიათა მიზნებისა. ეს პარტია ეწინააღმდეგა ამომარჩელობით უფლებების მიღების შემდეგ, ეცდებოდა ერთ პალატან სისტემის შემოღებას. სრულს წესიერებას იცავს მუშების ორგანიზაცია. შეუდგნენ სამოქალაქო პოლიციის შედგენას მუშათა დარაჯების გამოსაკვლიად. ფინლიანდის შესახებ მანიფესტმა ყველანაშ გახაზა.

* ოფიციალური მთავრობის ცნობა. 1904 წ. 12 დეკემბერს გამოცემულ უმაღლესი ბრძანებით განზრახული იყო, თუ რა ზომები იქნას მიღებული რუსეთის ქვეშევრდომების ყველა ცხოვრების ყოფაცხოვრების თანდათანობით გასაუმჯობესებლად. ამ ბრძანებისამებრ გამოცემული განკარგულებანი შეეხებენ აგრეთვე პოლონეთის ერსაც. ამ ზომებს საფუძვლად დედო იმ განსაკუთრებულ კანონების გაუქმება, რომელნიც აფერხებდნენ პოლონელების თავისუფალ განვითარების საქმეს და პოლონეთის ერის გათანასწორება რუსეთის დანარჩენ ქვეშევრდომებთან. დანარჩენი რეფორმები შესახებ პოლონეთისა გამოხატა 17 აპრილს გამოცემულ უმაღლეს ბრძანებასა და ი იგნის გამოქვეყნებულ მინისტრთა დებულებაში, რომელთა ძალით პოლონეთში უნდა მომხდარიყო რეფორმა სკოლისა, ერობისა და ქალაქის საქმეებისა და დასრულებულიყო სასამართლოს რეფორმები. პოლონეთში უნდა გავრცელებულიყო აგრეთვე უკანასკნელ დროს განზრახული რეფორმებიც—სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა და კრებების თავისუფლება. დაბოლოს 17 ოქტომბრის მანიფესტმა პოლონელებსაც ისეთივე მოქალაქობრივი უფლებანი მისცა, როგორც დანარჩენ ქვეშევრდომებს რუსეთისა. ამ დღიდან დაწყებული პოლონელებს სრული შეძლება მიეცათ დემოკრატია, რომ ისინი მზად არიან სხვა ერებთან ერთად იმოღვაწეონ რუსეთის საერთო ფართო შემოქმედებით ასპარეზზე. ამასთანავე თანდათან შეიძლება მიედწია პოლონეთის ხალხს წარმატებისთვის საარჩევნო დაწყებულების დახმარებით, რომელიც, მთელის სახელმწიფოს სარგებლობასა და ინტერესებზე ზრუნველობასთან ერთად, იზრუნებდა აგრეთვე პოლონელებზედაც. მაგრამ, როგორც ხანს, პოლონეთის მოღვაწენი, რომელნიც ახლადდ მოძრაობის სათავეში დგანან პოლონეთში, მიუხედავად მშარე და შავხნულ წარსულისა, არ წინარდებიან და ახლაც არ იშლიან კლას სახელმწიფოს ჩამოშორდნენ. ისინი უარს ამბობენ რუსეთის ხალხთან შეერთებულის ძალით მუშაობაზე და თავიანთ აუარებელ რეზოლიუციებით ითხოვენ სრულს ფელტონობის პოლონეთისთვის საყოფარ კონსტიტუციონურ სემიბთ და ამაში ხედავენ პირველს ნაბიჯს პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენისაკენ; ამჯერ მისწრაფებენ შეთანხმდნენ ორი მოპირდაპირე აგუ.

ფი არსებულ მიმართულებათა. მოქმედებენ ზოგიერთი მწერლები პოლონეთისა, პუბლიცისტები და სახალხო ორატორები და თავიანთკენ იზიდავენ მცხოვრებთ. ვისლის პირა მხრის სხვადასხვა ქალაქებში იმართება მრავალ რიცხოვანი მიტინგები და დემონსტრაციები პოლონეთის დროშითა და პოლონურ სარველოუტო პიანის სიმღერით. ამასთანავე პოლონელები თავის ნებით სდვენთან სახელმწიფო ენას მთავრობის დაწესებულებიდანაც კი, როცა კანონის ძალით რუსული ენა უნდა იხმარებოდეს, ზოგიერთ ადგილებში მუშებისა და გლეხების ბზროები აწიოკებენ სკოლებს, საგმინო სამმართველოებს, ღვინის ღლექებსა და ხვევს რუსულად დაწერილ დათარებებს. ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელი არა ერთხელ გამხდარან მხვევრპლნი პოლიტიკურ დანაშაულობათა, როცა ისინი მტკიცედ იკავებენ წესიერებასა და საზოგადოებრივ სამშვიდეს. პოლონელების კეთილ განიერის ნაწილს ძალა არ შესწევს დღით-დღე მოზარდ რევოლუციონურ ორგანიზაციის წინააღმდეგ. მთავრობა ვერ მოითმენს სახელმწიფო მელიანობის დარღვევის განზრახვას. მესამოსეთა განზრახვანი და მოქმედებანი აიძულეს მის გადაქრთ განაცხადოს, სანამ ვისლის პირა მხარეში არ დაქრთება ხელახლა აფეთქებული აჯანყება, სანამ ის მცხოვრებლები, რომელნიც ავტატორებს შეუერთდნენ, არ მოუღენ გონს გავტყვისაგან, მანამღი პოლონეთი ვერ ეღიისება ვერც ერთ იმ სიყვფისაგან, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტშია აღიარებული. აბობოქრებულ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება განხორციელება მშვიდობიანურ განზრახვებისა. წესიერების აღსადგენად თელს ვისლის პირა მხარეში გამოცხადდა სამხედრო წესები. ამგვარად პოლონეთის ერის მომავალი მახევა დამოკიდებული, მთავრობას კი სახეში აქვს კვლავაც დაიცვას პოლონელების ნაციონალურ უფლებების ხელუხლებლობა რომელიც გაფართოვებულია ელხაზან გამოცემულ საქაონონდებლო აქტებით და მოელოდა პოლიტიკურ გამოფხიზლებას პოლონელებისას აფრთხილებს რა ვით, არ გადაღვან სახიფათო ნაბიჯი იმ გზისკენ, რომელიც, სამწუხარო, არა ერთხელ გამოუცლია.

* აზრალა აქეთ, როგორც გავიფეთ, ნამესტნიკის საბჭოსთან დაარსდეს. განსაკუთრებული სათათბირი. სათათბიროში იქნებთან წარმომადგენელი

ადგილობრივ საზოგადოებრივ დაწესებულებათა და პრესისა. სათათბირომ უნდა შეიმუშაოს ზომები ხალხის დასამშვიდებლად.

* მოსკოვში დაარსდა სრულიად რუსეთის ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთა ბიურო. ბიურომ რუსეთის ქალაქებიდან მიიწვია ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დელეგატები კავშირის დასაარსებლად. როგორც ვიცით, ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა მეგრჯელ სკადეს დელეგატების ასარჩევად საერთო კრების მოხდენა, მაგრამ მთავრობამ ნება არ დაართო. თავიანთი გაჭიკრება მოხელეებს უცნობებითა პეტერბურგში ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამართველოს უფროსის სევისტოანოვისათვის, რომლისგანაც გუშინ-წინ მოხელეთა შემდეგი დეპუტე მიიღეს: 17 ოქტომბრის მანიფესტი სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეებს მოთხოვნილებათა შემუშავების უფლებას არ აძლევს და ამიტომ ვინც მოსკოვის ბიუროს მოწოდებისამებრ დელეგატებს აირჩევს და ამ ბიუროში მონაწილეობას მიიღებს, სამსახურიდან დათხოვნილი იქნებაო. ამ დებუტის შემდეგ მოხელეთა მოსკოვის ბიუროსაგან შემდგომ დებუტე მიიღეს: ბიურო ამხნეცებს მოხელეთა ღირნეს სევისტოანოვის განკარგულებას არ დაეშობოდეს და დელეგატები მაინც გაგზავნონ მოსკოვში. ბიუროს ამასთანავე დებუტით უთხოვნია გრაფ ვიტტესთვის, დაუყოვნებლივ სამსახურიდან იქმნენ გადაყენებული სევისტოანოვი და მინისტრის მზანატი დურბოვო, მომავალი მინისტრი განზრახულ ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროსი.

* სახელმწიფო საბჭოს გადაკეთების პროექტი უკვე შეუქმნავებულია და წარდგენილ იქნება მინისტრთა საბჭოში განსახილველად. თანამად პროექტისა, სახელმწიფო სამქისთვის არჩეული წევრები ოთხის რაზრადისა იქნება: მიწათ-მფლობელთა, მართლ-მადიდებელ და სხვა სარწმუნოების სამღვდლოებათა და ბიუროს კომიტეტის წარმომადგენელი პირველთათვის დადგენილა 2500 დესეტინა მიწა ცენზად. მართლ-მადიდებელ სამღვდლოებს 10 წარმომადგენელი ეყოლება. მათ სინოდი დანიშნავს; არა-მართლმადიდებელ სამღვდლოებსაც 10 წარმომადგენელი ეყოლება, ბიუროს კომიტეტებს-კი 6 მათ ნ წლით აირჩევენ.

სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, 1906 წლისათ

თვის თავდასახსნელი გადასახადი 26 მილიონირ შეამციროს ზოგიერთ გუბერნიებში.

ამას გარდა გადაწყვეტილია, სრულებით განათავისუფლონ იაპონისთან ომში მოკლულების ოჯახები ურველგვარ სახელმწიფო გადასახადისაგან, იმ ოჯახებში-იკი, საცა რამდენიმე მუშა ხელია, შემცირებულ იქმნას გადასახადი მოკლულ მუშების რაოდენობასთან შეფარდებით.

სახელმწიფო ეკონომიის დებარტამენტმა დაადგინა, რადგან 26 მილ. მან. შემცირდება 1906 წ. თავდასახსნელი გადასახადი და ამითი სახელმწიფო შემოსავლის აკლდება, სამაგიეროდ მომატებულ იქნას საღამოვნო ტარიფიო.

* სახელმწიფო საბჭოს შესახებ დამატებითი ცნობები: საბჭოში არჩევის ნება არა აქვთ ქალებს, უტხოვთის ქვეშევრდომთ, 40 წელზე ნაკლებთ და საშუალო სასწავლებლები ვისაც არ აქვთ გათავებულება. მეცნიერებათა აკადემია ირჩევს ორს წევრს, თერთვეული უნივერსიტეტი თერთო კაცს ორდინარ პროფესორების რიგებიდან: არჩეულ წევრებს წელიწადში 10 ასახი მანეთი ექნებათ. მინისტრებსა და ცალკე ნაწილების მთავარ-მართველთ არ შეუძლიათ წევრად ყოფნა და სახელმწიფო საბჭოში დასწრება. მინისტრები ვალდებული იქნებიან გამარტებანი მისცენ, ვისაც ჯერ არს, თუ ამას საბჭო სცნობს საჭიროდ. ბევრდეთ სიტყვის წარმომადგენელად შეიძლება იმ პირის დასწრება, რომელსაც პირადად იცნობს თავმჯდომარე საბჭოსი. საბჭოს ნება აქვს თავისი ზარი გამოსთქვას ახალ კანონების გამოცემაზე. სახელმწიფო სათათბიროს დასკვნანი საკანონმდებლო მოსახრებებით სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებას გადაეცემა. თუ უთანხმოება მოხდა, საბჭოს დასკვნა წარედგინება უმაღლესად განსახილველად სახელმწიფო სათათბიროს დასკვნასთან ერთად.

* 31 ოქტ. ოფიც. ინსტრუქცია გენ.-ადიუტანტებს, რომელნიც სარატოვისა, ჩერნიგოვისა და ტამბოვის გუბერნიებში იგზავნიან იქ წესიერებისა და სიმშვიდის აღსადგენად: 1. გენ.-ადიუტანტებს პირადად მთავარი უფროსობა ყველა ჯარებისა და პოლიციისა, რომელიც ხსენებულ გუბერნიებში არიან; 2. სანამ ისინი ამ გუბერნიებში იქნებიან, ყველა სამოქალაქო, მთავარობისა და საზოგადოდასწებულებანი, გარდა სასამართლოებისა და სახელ-

მწიფო კანტროლისა, ვალდებული არიან შესარულონ გენ.-ადიუტანტების ბრძანებანი; 3. გენერალ-ადიუტანტებს ნება ეძლევათ, წესიერების აღდგენისა და მშვიდობიანობის ჩამოგდებისთვის. ა) ხსენებულ გუბერნიებში გადაყენონ სამსახურიდან ყველა სამსახურის პირნი, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო დაწესებულებებში, ბ) დახურონ ლეივის რუქენები, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი, გ) შეაჩურონ გამოცემა გაზეთებისა, ეურნალებისა, განცხადებებისა, ბროშურებისა და სხ. და დ) გამოსცენ საჯაროებულო დადგენილებანი შესახებ საზოგადოებრივ წესიერების დაცვისა, 4. ზემოხსენებულ მუხლებში მოყვანილი განკარგულებანი ძალაში დაჩება, სანამ გენ.-ადიუტანტები ხსენებულ გუბერნიებში იქნებიან; 5. თუ რაიმე ეჭვი და გუგუბრობა მოხდა, გენ.-ადიუტანტებმა უნდა მიჰპართონ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

* ტფ. სასულიერო სემინარიის და სასწავლებლის პედაგოგთა კორპორაცია განიხილა და მოიწონა სენაკის სასულიერო სასწავლებლის პროექტი უფროსი შემწე. ამ პროექტით სასწავლებელი და სემინარიის ოთხი კლასი უნდა შეფარდოს ლიანახის რვა კლასს. სწავლა დამთავრებულთ შეეძლებათ შესვლა როგორც აკადემიასა, ისე უნივერსიტეტში. სამღვდლოებისათვის იქნება საღვთისმეტყველო კურსები. რაც შეეხება სწავლებს ენას, იგი დამოკრებული უნდა იყოს იმაზე, თუ რა ეროვნებას ეკუთვნის მისწავლებნი.

* ტფ. სასულიერო სემინარიის საბჭოს სხდომაზე საბჭოსავე წევრს კ. ცინცაძეს განუცხადებია, რომ სამღვდლოებამ უნათლოდ ფაქტორი კონტროლი უნდა გაეწიოს სემინარიის საბჭოს და მის განკარგულებანი ასწონასწონოს ხოლმეო. ამაზე რეტორს უპასუხნია: «თქვენი ნათქვამი სიტყვები მაგონებს ერთ იფავს, როდესაც ბულბული მღვროდა და დიდ-ყურა სულდგმული კი ყურს უგდებდაო», ე. ი. სამღვდლოებამ უკანასკნელ სულდგმულად დასახა. მღ. ცინცაძეს პრეტენტი განუცხადებია და წევრობაზედაც უარი უთქვამს. საბჭოსვე წევრს მასწავლებელს რეავენსკის ეი უპასუხნია, რასა გწყინთ, მ. კალისტრატე, ყეზა ხომ სიტყვის თავისუფლებაა... რეტორი მიმხედარიყო მღვ. თავის შეტლიძის და ბოლდის წერილი მეტყეო მღ. ცინცაძისათვის. სამღვდლოებამ, გაიგო რა ეს საქმე, წინადადება.

მისცა მღ. ცინცაძეს დაწვრილებით განაცხადოს საჯაროდ საქმის ვითარება. აი, ესეც ერთი ნიმუში მოსწავლე ახალგაზღობის უფიკ უფროსთა თავგასულობისა. ნუ თუ ასეთი ადამიანები სასწავლებლის სათავეში უნდა იდგნენ.

* * * 10 ნოემბერს, ნაშუადღევს 4—5 საათზე, პოლიციის მე-6 ნაწილში, შემდეგი უმსგავსოება ჩაიდინეს სალდათებმა. 15—20 სალდათი შესულან საროსკიბო სახლში და იქ ერთი ალიაქოთი და ჩხუბი აუტეხიათ. იქიდან გასულან ქუჩაში, მისცინიან მელქენს ზურაბოვს და შეუბრალებლად დაუწყებიათ ცემა. დუქნიდან 15 გირვანკა კალბასი და სხვა ნივთები წაუღიათ. იქვე მდგარა უჯარამის მცხოვრები უთიაშვილი. ჩხუბი ამისთვისაც აუტეხიათ. უთიაშვილს რკინის ქამარი მოუხსნია და მით მოუწადინია სალდათების მოგერება, მაგრამ ერთს სალდათს გაუჩქრებია, ხოლო მეორეს უძვრია დანა და ისე მაგარ ჩაუყრავს მეუკლეში, რომ ნაწილებები გადამოუყვრინებია. აწოიკებულა მთელი უბანი და ძალე დუქნები დაუკეტიათ. პოლიცია სალდაც მიმალულა და ხალხი გამეხსენებია ვაზის-კაცების ხელში ჩაუყრია. უთიაშვილს ვაუტყუბადებია, რომ ისეთი უბნის დამოკიდებულნი მინერვლები პოლიცის სათადარიგო ვაზის კაცები იყვნენ. უთიაშვილის დამჭერი სალდათი უკვე დაუბატონებიათ. გასისხლიანებული დანაც უპოვებიათ.

* * * უნივერსიტეტის ახალი წესდება, რომელიც უნივერსიტეტის საბჭოებს ვეზენებათ აზრის გამო-სათქმელად: როგორც პროფესორები, ისე ყველა თანამდებობის პირნი არჩეული უნდა იყვნენ, მაგრამ მათ შინსტრი უნდა ამტკიცებდეს. უნივერსიტეტის თვითმმართველობის ცენტრალური ორგანოა საბჭო, რომელშიაც შედიან ყველა პროფესორები, უმცროსს მასწავლებლებს გარდა. საბჭო სწყვეტს მხოლოდ ყველაზე მეტ საყურადღებო საზოგადო საკითხებს; მიმდინარე საქმეების, სამოსწავლოსა, ადმინისტრაციული და საოჯახოს,—მართვისათვის არსდება სენატი რექტორისა, მისის თანაშემწისა, დეკანებისა, სამის არჩეულ პროფესორისა თვითვეულ ფაკულტეტისაგან, საოჯახო საქმეებში მრჩეველისა და იურისკონსულტისაგან. საქმეების მახლობელი მმართველი ორგანოა სენატის დამხმარე გამგეობა რექტორის, მისი თანაშემწისა, დეკანებისა და საოჯახო ნაწილის საქმეებში მრჩეველისაგან. სტუდენტების დანაშაულობის გასარჩევად არსდება დისციპლინარული სამსჯავრო, რომელიც სენატს დამორჩილებად. სამოსწავლო და საფაკულტეტო საქმეების მართვა-გამგეობის საქმე დაეკისრება, უთმავრებს, ფაკულტეტებს. შტატის დოკუმენტების თანამდებობანი ხელახლა შემოდის. ექსტრაორდინარულ პროფესორისა, დოცენტისა და პრივატ-დოცენტისათვის საქირო მაგისტრის ხარისხი. ორდინარ პროფესორისთვის—დოქტორისა. ჯამაგირს ემატება; შემოღებულ იყება უკველ ხუთის წლის განმავლობაში ჯამაგირის მიმატება; გონორარული სისტემა შრომის დაჯილოვებისა უქმდება; შემოდის საგნობრივი სწავლება და სახელმწიფო გამოცდები. არსებული გამოცდები კომისია უქმდება. ცალკე უწყებებს ნება ეძლევათ, დააწესონ, რეგორი უნდათ, ისეთი გამოცდები იმ პირთათვის, რომლებსაც სამსახურში მიღება ენდობებათ.

* * * 16 ნოემბერს, იმერეთის გმინოლსმა დეპუტატმა, გურია-სამეგრელოსში—გიორგიშ, კარასამ—ქვეთამეშ და ალავერდისამ—ნეტრემ—საქართველოს ქვესარხოს თავანთ-მიერ ზედა-მოწყრილი განსჯება წარუდგინეს და აუწყებენ, რომ, უკეთუ უწიდემა სინდონდროსე არ განცემს მასუს საქართველოს სამდელოების სამართლის მოთხოვნას იგერიის ეგველსაგ ავტოკეუაბის შესახებ, სამდელოება შეეობება და მთავრობის დაუკითხვად კათალიკოსს ამარჩევს (ფ.)

შ ი ნ ა რ ს ი :

სალიდობაშრო ბანოშილაშა : ქრისტიან-კანონმდებელი.—რას სწებენ ჩვენს სამღვდლოებაზე.—ერთს ახალი უფლებას ვეარავთ, იაკობ გოგებაშვილის.—ავტოკეულია დეკ. დ. ლაშაშვილის.—რას ჰჭირებენ პეტერბურგში ჩვენს სამღვდლოებაზე?—ახალი წესდება.—მოსკოვის კონსტრუქციონარულ დემოკრატიულ პარტიის კრებისაგან შემდგომეული პროგრამა სახელმწიფო წყობილებისა.—მოქალაქის ძირითადი უფლებანი.—ხემოსეანეთი, სეგრე. მკელობისი.—ავტოსის ნაშესტისის განკარგულება.—ახალი ამბები და შერეუნიები.